ჩვენ უფრო სამართლიანად მიგვაჩნია პროფ. კ. გრიგოლიასა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მტკიცება, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ არის სუმბატის თხზულების წყარო: ამიტომ უკანასკნელი პირველზე გვიან, ე. ი. 1176 წლის შემდეგ დაწერილად უნდა ვივარაუდოთ.

სუმბატ დავითის ძის თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ ყველაზე დიდ ღირსებას, როგორც ამაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებდა, თარიღების სიუხვე შეადგენს. ეს თარიღები ზედმიწევნით ზუსტია.

სუმბატ დავითის ძის ნაწარმოების ქრონოლოგიას სამი თავისებურება ახასიათებს:

ა) მასში წლები დასახელებულია ასოებით. უფრო სწორად. რიცხვების გამოსახატავად ასოებია ნახმარი.

ბ) ერთგან თარიღი მოყვანილია ორი სისტემით „დასაბამითგან წელთა“ და ქრონიკონით.

გ) „ქრონიკონის“ დასახელებისას მითითებულია რომელი მოქცევისაა იგი.

ყველა ეს თავისებურება თავს იჩენს პირველსავე თარიღში,

რომელსაც სუმბატი ასახელებს: „მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბამითგან წელთა (ხვლ.) ქრონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა (მე) თუესა იანგარსა ოცდაცხრასა“ (ქ. ცხ. 377). დასაბამითგანი უდრის 6430-ს, ქრონიკონი 46-ს. ჩვენი წელთაღრიცხვით ორივე იძლევა ერთსა და იმავე თარიღს — 826 წელს (6430—5604 = 826, 780+46 = 826).

14. თაჰარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი დი აზმანი შარაევანდეთანი“ დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან ჩას შეიცავს მხოლოდ ჩარბამ დედოფლისეული, აქაც იგი ძლიერ დაზიანებულია და, მკვლევართა გულმოდგინე ცდის მიუხედავად, მისი ტექსტი მთლიანად აღდევნილად მაინც ვერ ჩაითვლება. ჯერჯერობით მკვლევარები იმაშიაც კი არ არიან შეთანხმებული — ერთ მთლიან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს თუ იგი არა.

თ. ჟორდანიას ჩას ორ სხვადასხვა დროს დაწერილ ნაწილად ჰყოფდა. პირველი ნაწილი, მისი აზრით, დაწერილი იყო შამქორის ომის დასრულებისთანავე, მეორე კი თაჰარის გარდაცვალების შემდეგ⁶⁶. ასევე ფიქრობდა აკად. ივ. ჯავახიშვილიც. ამ დასკვნაზე დასახელებული მკვლევარები მიიყვანა ერთნა ფრაზამ, რომელიც ასე იკითხება: „აწ ჩანს დაწერასა შინა აპისსა ათერთმეტთა მოქცევთა ჟამთა თაჰარ სამგზის სანატრელისათა“ (ქ. ცხ. II. 34). ე. ი. ასკვნიდნენ ისინი. თაჰარის მეფობის მეთერთმეტე წელს (1184—11—1195) დაწერილია თხზულების ერთი ნაწილი, ბოლო მეორე — გარდაცვალებისთანავეო. მათივე აზრით, ნაწარმოებს ერთი ავტორი ჰყავდა, თუმცა ჩისი ნაწილები დაწერილია დიდი შუალედით (დაახლ. 20 წელი).

ორი ავტორის ორ თხზულებად მიაჩნიათ „ისტორიანი და აზმანი“ ცნობილ მკვლევარებს პ. ინგოროყვასა და ს. კაკაბაძეს. პირველი პირველ ნაწილს თვლის 1196 წელს დაწერილად⁶⁷, მეორე კი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემდეგს წერს: „პირველი მემატრიანე, რომელსაც ეკუთვნის თხრობა შამქორის ომამდის თანმიმდევრით. სწერდა 1199 წლის ახლოს: „მეორე მენატრიანე, რომელსაც ეკუთვნის თხრობა შამქორის ომის შემდეგ ვიდრე ბოლომდის. სწერდა 1270—1296 წლების ახლოს“⁶⁸.

აკად. კ. კეკელიძე მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ „ისტორიანი და აზმანი“ 1122 წ. დაწერილია ერთი ავტორის მიერ⁶⁹. ეს დასკვნა დასაბუთებულია ასე: ა) თხზულება მთავრდება თაჰარის გარდაცვალებისა და დასაფლავების

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 5.

ს ი ნ უ რ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

864 წლისა

სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა
აკაკი შანიძის
რედაქციით, წინასიტუვაობით და გამოკვლევით

ახლავს 11 ტაბულა

თბილისის სტალინის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი * 1959

იე) სინურმა მრავალთავმა გამოაჩინა, რომ ხანმეტ მრავალთავში მოთავსებულ ოთხ უცნობ ნაწყვეტთაგან ორია სევერიანე გაბალონელის თქმულიდან „შესხმისათჳს ყრმათაჲსა და დაჯდომისათჳს უფლისა კიცუსა ზედა შესლვასა მისსა იერუსალემდ“ (გვ. 132—140)¹. აქედან ხანმეტ მრავალთავში მოიპოვება შემდეგი ნაწყვეტები: ა)... „უსწავლელთა ყრმათა, რასა ხუმეტესსა ლაღადებენ“, ვიდრე: „ჩუენ ზედა-გუაც სიტყჳს გებაჲ და მოკსენებაჲ წერილისაჲ, რლ“ (გვ. 135, 15—34=ტუმ. VII, 149—150, J. Molitor, Monumenta iberica, 88. ბ). ... „არს და გონიერ ყვნის ჩხჳლნი“, ვიდრე: „აწ, ძმანო, გულისხმა-ყავთ, რ წინაწარმეტყუელნი ქრისტესა ქადაგებენ, მეუფესა იერუსალემისასა, რ ხიტყჳს“ (137, 11—34=ტუმ. VII, 145—146; J. Molitor, Monumenta iberica, 84).

იე) სინურმა მრავალთავმა ცხადყო აგრეთვე, რომ წინათ უცნობი ერთი ხანმეტი ტექსტის ნაწყვეტი ეკუთვნის ანთიპატროს ბოსტრელს², რომლის თქმული „წმ. ღმრთისმშობელისათჳს და ზაქარიაჲს დაღუმებისათჳს“ აქ მოთავსებულია 24—30 გვერდებზე. ხანმეტი ნაწყვეტი („ხესმა, იწრაფა და შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა“, ვიდრე: „და ვითარ გამოკდა უდაბნოჲსაჲგან“) უდრის აქ დაბეჭდილ ტექსტს: 29, 5—30 და J. Molitor, Monumenta iberica, 86.

II. ხელნაწერის შექმნა და დღევანდელი ვითარება

1. წიგნის შექმნის ინციატორი და მიზანი. სინური მრავალთავი პალესტინური წარმოშობისაა: იგი დაუწერიათ საბაწმიდის ლავრაში და შეუწირავთ სინას მთისთვის. დაწერის ადგილი და დრო იშვიათი ზედმიწევნილობით არის აღნიშნული: „დაიწერა ესე წიგნი იერუსალემს ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა დღეთა ღმრთის მოყუარისა თევდოსი პატრეაქისათა და საბაწმიდას პატიოსნისა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისათა³. და დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგანთა წელთა⁴ ხჯაშ(6468), ქრონიკონი იყო პდ (84)“;

იერუსალიმის პატრიარქად თევდოსი ჩანს 862—878 წლებში⁵. დაწერის წელი ორი სათვალავით არის აღნიშნული: დასაბამითგანით (ხჯაშ 6468) და 532-წლიანი კვიკლოსით (ქრონიკონსა პდ 84). ორივე სათვალავი ქართული სისტემით არის მოცემული და ორივე ერთსა და იმავე წელს გვაძლევს: 6468—5604=864; 780+84=864.

¹ ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, გვ. 299.

² ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ, იქვე, გვ. 300.

³ ამ მამასახლისის სახელს ა. ცაგარელი შეცდომით სიმეონაჲ აცხადებს: Каталог рукописей Синайского монастыря, გვ. 93/235.

⁴ ხელნაწერში შეცდომით სწერია „წერთა“.

⁵ საქ. ეკლესიის კალენდარი 1950 წლისათვის, გვ. 123.

ივანე იმნაიშვილი

სინური გრაფიკა

გამოკვლევა და ლექსიკონი

თბილისი 1975

მთაზე და იერუსალიმში იქაური ქართული სიძველეების გამოსავლინებლად და შესასწავლად. ამ მივლინების შედეგი იყო მისი შრომა Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა.

ამ შრომის ერთ-ერთ (II) დამატებაში (Каталог грузинских рукописей Синайского монастыря) აღწერილი იყო სინის მთაზე დაცული 93 ქართული ხელნაწერი (გვ. 193—240).

ამ კატალოგში ჩვენი ხელნაწერი 83-ე რიგზე იყო მოთავსებული და ასე იყო დასათაურებული: Слова и речи св. Григория епископа Неокесарийского, Василия Великого, св. Иоанна Златоуста и св. Кирилла архиепископа Иерусалимского (გვ. 234).

აღწერილობაში გამოქვეყნებული იყო ხელნაწერის ანდერძის ნაწილი, სადაც გადამწერებზე, გადაწერის ადგილსა და დროზე იყო ლაპარაკი. ხელნაწერის გადაწერის დროდ 864 წელი ორივე სათვალავის მიხედვით იყო დადგენილი (დასაბამითგანით — ხ ვ ე ზ, და ქართული ქრონიკონით — პ დ. მართლაც $6468 - 5604 = 864$; $780 + 84 = 864$). ეს არის ყველაზე უძველესი (პირველი) თარიღიანი ქართული ხელნაწერი, ამაზე უფრო ადრინდელი თარიღიანი ქართული ხელნაწერი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. 864 წლისაზე ადრინდელი ხელნაწერები; რასაკვირველია, ჩვენ გვაქვს ქართულად. სხვა რომ არა იყოს რა, ხანმეტი პალიმფსესტები უეჭველად V—VI საუკუნეებისაა, ხანმეტი ლექციონარი VII ს-ის აქეთ ვერ გადმოვა, მაგრამ ამ ძეგლებს თარიღი არა აქვთ, მათზე არაა აღნიშნული, თუ როდისაა ისინი გადაწერილი. ამრიგად, პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი არის ჩვენი ს ი ნ უ რ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი, რომელიც (864) წელსაა გადაწერილი.

ასე შემოვიდა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ყველაზე უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი.

ალ. ცაგარელს სინის მთაზე მუშაობა მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა: იდგა საშინელი სიცივე, ყინვები, ქროდა გამთოში ქარები, არ იყო ოდნავ დაცული თავშესაფარი ადგილი. სადღაც, ბერების უსინათლო სენაკების ფანჯრებჩამტვრეულ კუნჭულებში, ნაჩქარევად აწარმოებდა ის ხელნაწერების აღწერას. ამ ფუსფუსსა და სიჩქარეში დაშვებული იყო შეცდომები, აღწერას აკლდა სიზუსტე და სისრულე. შესაძლებელია ზოგი რამ გამოუვლინებელიც დარჩა. ამიტომ იყო, რომ აქაური ხელნაწერების უფრო დაწვრილებით და სრულად გამოსავლინებლად, შესასწავლად და აღსაწერად 1902 წელს სინის მთაზე იმოგზაურეს ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილი (მათ ახლდა აგრეთვე ბიზანტინისტი ა. ვასილიევიცი). ნ. მარი, სხვათა შორის, ამის შესახებ ამბობს: На Синай меня сильно манила рукопись, как оказалось, хрестоматия, сборник чтений 864 г.¹

ეს ხელნაწერი ვრცლად აღწერა ნ. მარმა, დაწვრილებით მოიყვანა მისი

¹ Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940, Москва—Ленинград, Предисловие, стр. V.

ტება), მაგრამ დედნის კვალი ხელნაწერში მაინც დარჩენილა; ჩვენი ხელნაწერის ორთოგრაფიისა და გრამატიკული ფორმების სიჭრელე ამით უნდა აიხსნას. ამითვე უნდა აიხსნას აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ორთოგრაფიისა და გრამატიკული ფორმების ერთგვაროვან თავისებურებებს ადგილი აქვს ჯგუფ-ჯგუფად, ალაგ-ალაგ, შემდეგ კი წყდება. როგორც ვთქვით, ასეთი ჯგუფები, ასეთი ცალკე ადგილები მცირე მოცულობისაა, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ეს თავისებურებები თავს ამოყოფს ხოლმე სხვადასხვა ადგილას, ერთხანს გვხვდება, მაგრამ მალე ქრება. ეს იმიტომ, რომ გადაწერილს კითხულობენ, მიუღებელ ფორმებს ასწორებენ წინასწარ შემუშავებული ორთოგრაფიით.

ზემოთ თქმულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ხელნაწერის ენის შესწავლისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს ძილებული მისი დედნების თავისებურებანი.

5. ხელნაწერის შემოსული

ბოლოს დავძენთ, რომ ხელნაწერს ახლავს ცნობილი საბაწმიდელ-სინელი ქართველი მწერლის იოვანე-ზოსიმეს ანდერძი ხელნაწერის შემოსის შესახებ და მისივე ცნობილი ნაწარმოები „ქება და დიდება ქართულისა ენისა“¹, რომელიც, ვიტყვით აქვე, პატრიოტული გრძნობების გასაღვივებლად ბევრ სხვა ხელნაწერსაც ჰქონდა დართული.

იოვანე-ზოსიმეს ანდერძში ნათქვამია:

„შეიმოსა მესამედ წმიდაა ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაათა სინა-წმიდას კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა... დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხ ფ ჰ ე-სა და ქრონიკონსა სა-ს:“ (282, 3—8).

შემოსის წლად გამოდის 981 წელი (6585—5604=981; 780+201=981).

აღსანიშნავია, რომ იოვანე-ზოსიმეს არ ავიწყდება მიუთითოს, რომ დასაბამითგანნი წელნი ქართული სათვალავით არის ნაანგარიშევი. ამ მომენტის უგულვებელყოფას ბევრჯერ მოჰყოლია სამწუხარო შედეგი. მაგალითად, ადიშის ოთხთავი 1001. წელს გადაწერბლად ჩაუთვლიათ, ნამდვილად კი, როგორც ეს კ. კ ე ლ ი ძ ე მ ცხადყო, 897 წელსაა გადაწერილი².

ეს პატრიოტიზმი, ქართულისა და ქართველის განსაკუთრებული სიყვარული სხვა ერთა წარმომადგენლების საერთო სიყვარულის ფონზე ხანს აგრეთვე იოვანე-ზოსიმეს ანდერძის ბოლოს, სადაც ვკითხულობთ:

„ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და მიქაელ, გაბრიელ, კვრიკე, გიორგი, იოვანე-ზოსიმე და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანნი და უფროას ყოველთასა ყოველნი ქართველნი“ (282, 16—18).

ამ პატრიოტიზმმა და ქართულისა და ქართველის განსაკუთრებულმა სიყ-

¹ პ. ინგოროყვა უარყოფს იოვანე-ზოსიმეს ავტორობას და მას მხოლოდ გადამწერად თვლის. ამ ნაწარმოების ავტორად მას გრიგოლ ხანძთელი მიაჩნია (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, 1954, გვ. 751—753), მაგრამ ეს მტკიცება დამაჯერებელი არაა.

² კ. კ ე ლ ი ძ ე როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება; თბილისის უნივ. მოამბე, ტ. II, 1922—1923, გვ. 392—397 იგივე შრომა შეტანილია ავტორისავე წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, გვ. 335—338.

ქართული ოთხთავის ორი ქველი რედაქცია

სამი ვაგბერძული ხელნაწერის მიხედვით

(897, 936 და 973 წწ.)

გ ა მ ო ს ც ა

ა კ ა კ ი უ ა ნ ი ძ ე მ

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი 1945

აღიშის ოთხთავი

აღიშის ოთხთავი (დათქმით C) კარგად ცნობილი ძეგლია. პირველი ბეჭდუი ცნობა მის შესახებ ეკუთვნის გრაფინა პ. უვაროვას და ა. ხახანაშვილს¹. ღლონდ პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ შესანიშნავ ხელნაწერს, იყო სვანი მღ. ბესარიონ ნიჟარაძე, რომლის აღწერილობა სვანეთში დაცული ხელნაწერებისა გვიან დაიბეჭდა².

1910 წ. ე. თაყაიშვილის შეთაურობით მოეწყო სვანეთის ექსპედიცია (პ. თუმანიშვილის ხარჯით). ექსპედიციის დროს ფოტოგრაფმა დ. ერმაკოვმა გადაიღო მთელი ხელნაწერი. ამ ფოტოგრაფების მიხედვით მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოება შეუდგა ძეგლის ფოტოტიპურ გამოცემას, რომელიც ა. ხახანაშვილს მიენდო, მაგრამ, უკანასკნელის ხანგრძლივი ავადმყოფობისა და შემდეგ სიკვდილის გამო (1912 წ.), მთელი მასალა გადაეცა ე. თაყაიშვილს, რომელმაც გამოცემას წაუმძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა რუსულ ენაზე (გვ. 8—20). აქ აღიშის ოთხთავი მოთავსებულია 200 ტაბულაზე (თითო ტაბულაზე საერთოდ ოთხ-ოთხი გვერდი) და მთელი გამოცემა შედის შეთოთხმეტე ტომად ცნობილ სერიაში: Материалы по археологии Кавказа, (вып. XIV. Москва, 1916)³. თუ წინათ აღიშის ოთხთავს იცნობდა და ბეჭენბდა თითო-ორი სპეციალისტი⁴, ფოტოტიპურად გამოცემის შემდეგ ის ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართა ფართო წრეებისათვის და რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა⁵.

აღიშის სახარების გადაწერის თარიღს არკვევს ქრონიკონი, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის 387 ფურცლის წინა გვერდის მეორე სვეტზე და ასე იკითხება (სურ. 1):

¹ Материалы по археологии Кавказа, X, 1901. გრაფინა შეეხა მინიატურებს (გვ. 77, 148—149), ხოლო ხახანაშვილი — ტექსტს: Сванетские рукописные евангелия (დამატება იმავე ტომისა), გვ. 1—9.

² სვანეთის ხელნაწერები („მოამბე“ 1904, IX, მე-2 განკვეთი, გვ. 1—18; აღიშის ოთხთავის აღწერილობას აქ უჭირავს გვ. 3—13 [(ბ. ნიჟარაძე სოფლის სახელს ასე წერს: ჰადიშ, სადაც ორი „ი“ ხმოვნის სიგრძეს გადმოგვცემს (=ჰადიშ)].

³ ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოგრაფები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ფოტოტიპურ გამოცემას, ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფოტოპირების კოლექცია, № 62.

⁴ მაგ., Н. Марр, Заметки по текстам св. Писания, §§ 16—24 (XB, II, 1913, 172—174).

⁵ კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი აღიშის სახარება (ტ. უ. მ. II, 1922—23, 392—396); ა. შანიძე, ჰაემეტობა აღიშის სახარებაში (იქვე, გვ. 417—424); R. Blake, Notes on the Text of the Georgian and Armenian Gospels (Quantulacumque 1937, pp. 355—363) [ბლეიკის სხვა ნაშრომები ზემოთ არის დასახელებული, გვ. 06—07]; თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში (ენიმკის მოამბე, IV, 115—162); P. Шмерлинг, Адишское евангелие („ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“, გ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 39—40); ს. ყაუხჩიშვილი, აღიშის ხელნაწერის ბერძნობები (ენიმკის მოამბე, XIV, 1944, 93—116).

[„დაიწერა წმიდაა ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა **ხვ[ა]** ქრონიკონსა **რიზ**, შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა **ჩა**. ქრისტე მქელთ. ფეო, შეგვწყალენ [ყოველნი?] ერთობით. ამენ¹.

მწერ(ალი) ამისი მიქაელ ლოცვასა მომაქსენ[ეთ] და შემინდვეთ სიუცბე ჩემი.

და მმოსელიცა მიქა[ელ] დიაკონი მომაქსენ[ეთ] წმიდასა ლოცვასა თქუენ- [სა]. უფალი მფარველ გუე[ქმენინ]² ყოველთა ერ[თობით. ამენ“].

ამ სამ თარიღთაგან დაუზიანებლად შემონახულია მარტო ორი: ქართუ- ლი ქრონიკონი და ქრისტესით, დასაბამითგანისა კი მარტო ორი ასოა გა- დარჩენილი. რადგანაც ქართული ქრონიკონის ანგარიში ყველაზე სანდოა, ამი- ტომ ცხადია, რომ გადაწერის თარიღად, უხლანდელ სათვალავზე გადმოყვანით $(780 + 117 =)$ **(897)** წელია ნაგულისხმევი. ამის მიხედვით აღვილია დასაბამითგა- ნის დაკარგული ასოს აღდგენაც. ურთიერობა ამ ორ წელთაღრიცხვას შორის, მე-9-10 საუკუნის ხელნაწერთა მოწმობის თანახმად (მათ შორის ჯრუჭისა და პარხლის სახარებათა მიხედვითაც), ასეთია: დასაბამითგან უნდა უარიდეს 12 კვიკლოსის წელთა რაოდენობას $(532 \times 12 = 6384)$ პლუს მე-13 მოქცევის წლები. რადგანაც $6384 + 117 = 6501$, ამიტომ ცხადია, რომ დასაბამითგანის რიცხვს **(ხვ = 6500)** აკლია ა (1), როგორც ეს უკვე ე. თაყაიშვილმა აღნიშნა

ხვ[ა]. — [6500 - 5604 = 896]

რაც შეეხება ქრისტესით ანგარიშს, ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ აქ ალბათ შეცდომააო, მაგრამ, როგორც კ. კეკელიძემ გამოარკვია, ქრისტესით ანგარიშის დროს ხელნაწერის გადამწერისათვის გამოსავალია არა ქართული სათვალავი (**5604** წლიანი), არამედ ალექსანდრიული, რომელიც ქრის- ტემდე ითვლიდა 5500 წელს და ქართულ სათვალავს 104 წლით ჩამორჩებო- და. ეს განსხვავება რომ გამოვაკლოთ ხელნაწერში მოცემულ თარიღს 1001-ს, მივიღებთ იმავე **897** წელს $(1001 - 104 = 897)$ ⁴. ამგვარად, სამივე თარიღი თა- ნაბრად იძლევა **(897)** წელს და ეჭვი არ არის, რომ თარიღიან ოთხთავებს შო- რის აღიშისა უძველესია.

აღიშის სახარების გადაწერის თარიღს დაახლოვებით არკვევს აგრეთვე ანდერძში მოხსენებული პირების ცხოვრების დრო. ორ უკანასკნელ ფურცელზე (სურ. 2 და 3) იკითხება: [ქარაგმებს ეხსნით]:

[„სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა⁵ წმიდისა[ათა], მეოხებითა [წმიდი]სა ღმრთის მშობე[ლის]ათა და წმიდის[ა იწნე] ნათლის-მცემე[ლის]ათა და წმიდ[ა]თა მახარებ[ელ]თათა და [ყოველ]თა წმიდათა მისთათა ღირს ვიქ- [მენ] მე, გლახაკი [ს]ოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამ[ას] წიგნსა სახ[არებ]ასა ოთხ[თავ]სა ფრიადითა მოლ[უაწებ]ითა სუ[ლიერ]თა ძ[მ]ათა ჩემთათა, სალოცვე- ლად ყოვლისა ამის კრებულისათჳს და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჯორციე- ლად, და სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა აღრნესე კურა-

¹ ან C. ² გუე[ქმენინ] C (ან ეგების: გუექმენს ?).

³ აღიშის სახარების წინასიტყვაობა, გვ. 14.

⁴ კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი აღიშის სახარება (ტ. უ. მ. II, 392—397).

⁵ ანდერძის დასაწყისი აღდგენილია ჯრუჭის ანდერძის დასაწყისის მიხედვით.

კელთა რაოდენობისა, ხელისა, შემკულობისა, კამარებისა და სხვ.), რადგანაც ვითონ ძველი ფოტოტიპიურად არის გამოცემული მთლად და თანაც ე. თაყაიშვილს ეს საკითხები ვრცლად აქვს განხილული თავის წინასიტყვაობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ადიშის ოთხთავის ტექსტის სტამბური წესით გამოცემას შეუდგა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი (R. Blake). უკვე გამოცემულია მარკოზისა და მათეს თავები. ასაწყობად იყო მიცემული იოანეს თავიც (1939 წ.), მზადდებოდა ლუკასიც და, ომიანობა რომ არა, ეხლა მთელი ოთხთავი გამოცემული იქნებოდა. გამოცემას დართული აქვს ვარიანტები ოპიზისა (913 წ.) და ტბეთის (995 წ.) ოთხთავების მიხედვითაა ახლავს ლათინური თარგმანი¹.

ჯ რ უ ჭ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი

(H 1660)

ჯ რ უ ჭ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი (დათქმით D) შედგება 297 ფურცლისაგან, ჩასმულია ტყავ-გადაკრულ ხის ყდაში, ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად შავი მელნით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი ინიციალისა, რომლებიც წითურად არის ნაწერი. წითურადვეა შესრულებული მახარებელთა სახელების ინიციალები ქვემო აშიებზე მოყვანილ სიმფონიაში (მ, მრ, ლ, ი).

ზომა ხელნაწერისა: 26 X 21 cm (ან ოდნავ მეტი), ტექსტის სიმაღლე 20—21,5 cm, სიგანე 15 cm. სვეტში მოთავსებულია 20—23 სტრიქონი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მომღვეწო გვერდის დასაწყისი სიტყვის ჩვენებას წინა გვერდის უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ). ამას გარდა ქვემო აშიებზე ამონიოსის „თანხმობას“ უჭირავს საშუალოდ 4 წვრილ-წვრილი სტრიქონი (2-დან 5-ამდე).

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით, გარდა, მათეს და მარკოზის სახარებათა დაბოლოებისა, რომლებიც მინიატურებიან ფურცლებზე გადადის და მხატვარს დაუმთავრებია. ესენია: მათეს უკანასკნელი თავის ორი უკანასკნელი სიტყვა: „აღსასრულამდე სოფლისა“ (28, 20), ხოლო მარკოზისა—სამ მუხლ-ნახევარი: „სნეულთა ზედა ქელი დასდვან“ და შემდგომი (მარკ. 16, 18—20).

თავში მოთავსებულია სურათები (მათ შორის მათესი) და კანონები, ეს სურათები საგანგებო დაკვეთით არის შესრულებული 940 წ. (ამაზე ქვემოთ, გვ. 026 და შემდგომი). თვით ტექსტი იწყება მე-8 ფურცელზე და მიდის 289 ფურცლამდე, ოღონდ ორ-ორი ფურცელი უჭირავს საილუსტრაციო მასალას მარკოზის, ლუკას და იოვანეს თავების წინ (92—93, 143—144, 228—229).

ეტრატის ფურცლები უმეტესად თხელია და ნაზი, მელანი უფრო მოჰკიდებია გარეთა (ბეწვის) მხარეს, მოყვითალო ფერისას, ხოლო შიგნითა (ხორცის) მხარეზე, რომელიც თეთრია, მელანი ბევრგან გადალეულა და ნაწერი ძნელად იკითხება. ეს ადგილები ზოგან გაუცხოველებიათ უახლოეს დროში (მე-18 სს.)

¹. ნახე ზემოთ, გვ. 06.

ორი ძველი რედაქცია ოთხთავისა.

1. ანდერძი, მოთავსებული 291 ფურცელზე (სურ. 23 და 24). აქ იკითხება (ქარაგმებს ვხსნით):

„სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისადათა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისაათა (sic)¹, და წმიდათა მახარებელთადათა და მოციქულთადათა და წმიდათა წინაწარმეტყუელთადათა (წნტყულთადათა), წმიდათა მღვდელ-მოძღუართა და ყოველთა მამათადათა და ყოველთა² წმიდათა ნების მყოფელთა მისთადათა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდად ესე სახარებად ჯელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისადათა თავად მეფესა ჩემსა სუმბატს (sic)³ სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მირდატისთჳს, თაგუნადისთჳს (sic) და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საჯსრად და მკუდართა საჯსენებელად: ღლარიონისთჳს (sic) და დაშელისთჳს.

აწ ვინცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ ვართ⁴ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რადათა (რ'ა) თქუენცა უფალმან მადლი მიგანიჭოს. ამენ⁵.

დაიწერა წმიდად ესე სახარებად შატბერდს⁶ ჯელითა უცბად მხხრეკალისა გაბრიელისითა, თანა-შეწვენითა და მოლუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა, რამეთუ დიდი გულს-მოდგინებად მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა. ჯსენებულმცა არიან კეთილსა შინა! ამენ⁵.

დასაბამითვან წელი იყვნეს **ქწჳ**, ქრონიკონი იყო **ქწწ**.

სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისადმდე⁷, ამენ⁵.

ამგვარად, ჯრუჭის ოთხთავის გადაწერის თარიღად ნაჩვენებია (936) წელი ორგვარი სათვალავით: დასაბამითვანით (6540--5604=**936**) და ქართული ქრონიკონით (780+156=936)⁸.

2. იგაფე მომგებელი იხსენიება ლუკას სახარების ბოლოს, ფ. 229v, ქვე-

¹ დაწერილია უქარაგმოდ. ² აქ ხედმეტად დ არის შემდეგ. ³ „მეფესა ჩემსა სუმბატს“—სამივე სიტყვა მიცემითშია დასმული. მოსალოდნელი იყო ნათესაობითი. ⁴ ხელნაწერშია: ვართა. ⁵ ხელნაწერში: აწ. ⁶ შატბერდსა? („ა“ მკრთალია). ⁷ ხელნაწერში: ოკი ოკე.

⁸ მოქცევად იგულისხმება მეცამეტე, რომელიც, დღევანდელ წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით, 781 წელს დაიწყო. მაგრამ ვილაც მკითხველს (მე-19 ს.) მე-14 მოქცევაში გადმოუტანია ხელნაწერის გადაწერის დრო და იმავე გვერდზე (291v) ქვემო აშიაზე მიუწერია მხედროულად ფანქართ: „1465 წლისა უნდა იყოს, როგორც სჩანს ამ ქრონიკონით“ (ანგარიში არ არის სწორი, მოსალოდნელი იყო: 1468). სამაგიეროდ 1 ფურცელზე მიწებებულია ერთი ქალღმრთის ფურცელი, რომელზედაც მოცემულია სწორი ანგარიში:

„1886 წელს აგვისტოს 8-ს ვიანგარიშე.

ქართულის გამოანგარიშებით ამ სახარების დაწერაზედ იყო დასაბამიდან 6540 წელი, ქრისტეს მოსლვაზედ ქართულივე რიცხვით 5604 წელი. 6540—5604=936. ქრისტეს აქეთ ცხრაას ოც და თექვსმეტს წელში დაწერილია. მას აქეთ არის 950 წელი. ამას ემ(ო)წმება ქართული ქრონიკონიც: ამის დაწერაზედ ყოფილა მეცამეტე მოქცევის 156 წელი. ავიღოთ მეცამეტე მოქცევიდამ დანარჩენი 376, 14 მოქცევი(ს) სრული 532 და 15 მოქცევიდამ 42, სულ 950. დეკანოზი მიხაილ მეუწარგია“.

ძის დროს ცნობილ ქართ. ოთხთავის ხელნაწერებს შორის¹. იმავე ძველის მოკლე აღწერილობას ვხვდებით კონდაკოვ—ბაქრაძის წიგნში², აგრეთვე დ. ბაქრაძისაში³. შემდეგ მასვე ეხებიან, ბროსეზე დაყრდნობით, ე. თაყაიშვილი⁴ და თ. ქორდანიას⁵. ჯრუჭის ოთხთავის ტექსტს გაკვირვებით ეხება ს. კაკაბაძე⁶, ხოლო მინიატურებს—რ. შმერლინგი⁷. უკანასკნელ უნდა აღინიშნოს, რომ ჯრუჭის ხელნაწერის ანდერძი, ბროსეზე დაყრდნობით, მოყვანილი აქვს რ. პლეიკს⁸.

N. B. ჯრუჭის ოთხთავის სახელით ორი ხელნაწერია ცნობილი, ორივე მოხატული: ერთი ეს, მე-10 საუკუნისა (H 1660) და მეორე მე-12 ს.-ის მეორე ნახევრისა (H 1667). უკანასკნელი გ. შააწმიდლის რედაქციისაა და მრავალ მინიატურას შეიცავს. ერთურთისაგან მათ ასე არჩევენ: პირველი ჯრუჭისა და მეორე ჯრუჭისა. მეორე ჯრუჭის ოთხთავი აღწერილი აქვთ კონდაკოვსა და ბაქრაძეს (Опись, 51) და რ. შმერლინგს („ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“, 1940, გვ. 49—52). ეს მეორე ჯრუჭისა იგულისხმება „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილში“, სადაც მოყვანილია ცნობები დ. ბაქრაძის მოგზაურობის ხელნაწერი ანგარიშიდან („ივერია“ 1889 № 224)⁹.

პარხლის ოთხთავი

(A 1453)

პარხლის ოთხთავი (დათქმით E) ნაწერია მრგლოვანი ხელით მშვენივრად დამუშავებულ ეტრატზე. ზომა ხელნაწერისა: 23×20,5 cm (ნაწერისა, უნიციალეზად, 18×14 cm).

ხელნაწერის ძველი ნაწილი შედგება 30 რვეულისაგან, რომლებიც აღწესებულია ორ-ორ ადგილას: პირველი ფურცლის თავში და უკანასკნელის ბო-

¹ Voyage archéol., XII, 83—85.

² Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб. 1890, стр. 153—154.

³ ისტორია საქართველოსი, 232—233; ნ. აგრეთვე დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, გვ. 130.

⁴ სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. LXVII.

⁵ ქრონიკები, I, 89.

⁶ სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით (საისტორიო ძიებანი, 1924, 1—37).

⁷ ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, 1940, გვ. 41—43 (წარმოდგენილია სამი მინიატურა: მათესი, იოვანესი და განრღვეულის განკურნებისა).

⁸ R. P. Blake and Sirarpie Der Nersessian, The Gospels of Bert'hay: An Old-Georgian Ms. of the Tenth Century [«Byzantion» 16 (1944), pp. 226—285, 8 ტაბულითურთ].

⁹ Baltrušaitis-ი (Études sur l'art médiéval en Géorgie et en Arménie, P. 1929, p. 27) ლაპარაკობს მეორე ჯრუჭის ოთხთავის მოხატული ინიცილების შესახებ და შეცდომით პირველი ჯრუჭის ოთხთავის ნომერს ასახელებს.

„წ. სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა ცხოველს-მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისადათ, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინაწარმეტყუელისა იოვანე ნათლის-მცემელისადათა, მეოხებითა და შეწვევითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთადათა და წმიდათა წინაწარმეტყუელთადათა¹, მეოხებითა წმიდათა მახარებელთადათა: მათე², მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწაშეთადათა და ღირსთა მღვდელთ მოძღუართადათა და ნეტართა მამათადათა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა მოღუაწებითა სულისა წმიდისადათა და შეწვევითა ღმერთ-შემოსილთა კაცთადათა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთასა (sic) და ყოველთა თვსთა ჩუენთათვს, სულიერთა და გორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩუენთათვს ღმრთივ³ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა და ღმრთივ⁴ მონიჭებულთა ძეთა მათთათვს. ქრისტებან ყოველნი აღიდენინ მოწყალებითა მისითა ჟამთა უკუნი-სადმდე⁵!

აწ ვინცა ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოიგსენეთ | სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთ. და ყოველთა ერთობით მოგუანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი და ყოველნი ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათა (sic) და სანატრელისა მის ვმისა სმენად ქრისტე⁶ იესუს მიერ უფლისა ჩუენისა! მისა დიდებაჲ ეკლესიასა შინა მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამენ.

დაიწერა დასაბამითგანთა წელთა **Ε : Φ : Ω Ξ :**

ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული **Ϡ ϥ ϭ**.

ანდერძიდან ცხადია, რომ ხელნაწერი გადაუწერია იოანე-ბერას დასაბამითგან 6577 წელს, ხოლო ქართული ქრონიკონის მიხედვით 193 წელს. ორივე წელთაღრიცხვით ჩვენებურად გამოდის 973 წელი: 6577—5604=780+193=973.

2 იოანე-ბერა თავის თავს მომდევნო ბერძნულ მინაწერშიც (სურ. 29) აცხადებს გადამწერლად.

3. იოანეს, რომელსაც ნართაულად ბერა ჰრქმევია, სახარების ტექსტი შრგლოვანი ხელით დაუწერია, მაგრამ მინაწერებში სხვაგანაც ნუსხურს ხმარობს. ერთი ასეთია მათეს სახარების ბოლოს (70 v, სურ. 25), სამ სტრიქონად, წვრილად:

„ქრისტე მეუფეო ყოვლისა მპყრობელო, შეიწყალე გლახაკი იოვანე, მწერალი ამის წიგნისაჲ, მეოხებითა წმიდათა მახარებელთა შენთადათა, ან“.

4. მარკოზის სახარების ბოლოს (112 v, სურ. 25):

„ქე, შეიწყალე ბერაი მწერალი. ან“.

¹ წნწ-ელთადათა E. ² მათე E. ³ ღთვ E. ⁴ ღთივ E. ⁵ ოკვ E. ⁶ ქმ E.

თელო ჟორღანია

ქრონიკები

I



გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი 2004

ქრონიკები

ღ

სსგა მასალა საქართველოს ისტორიისა,

შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული

თ. ჟორდანიას მიერ

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა

1892

როგორც ამ წიგნის შესავალში მოკისხებთ, ცხრილოვანს ქორონიკონებში აღვილი მოსალოდნელია (იხ. ეს წიგნი, გვ. 29, შენიშნ. № 62).—

889—909 წ. ამ დროს უნდა ეკუთნოდეს ძველი ასომთავრული წარწერა ერთს მომცრო გულსაკიდს ოქროთი დაფერილს კეცხლის ჯვარზედ, რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ მარტვილის სალაროში: **ԻՕ ԻՕԻԸԻԿ ԻԸԹԻՆ ՖԵԿԻԿԻՕ ॥ ԶԻՕԶ ԿԿԸԻ ԷՌԻԿԻ ՄԻՕՄԻՆԸ ॥ ԿԸԿԻԸ ԾԸ ԾԸԻԻԸ**, ე. ი. „წმიდაო იოვანე ნათლისმცემლო მეოს ეყავ სორანშ (ანუ სორანშა?) დეუფალსა (დედოფალსა) ბაგრატს და დავითს“.

წარწერა მიაგავს IX—X საუკუნეების სელს. რადგან წარწერაში მოხსენებულა ჯერ დედოფალი და მერე ბაგრატ და დავითი, ამის გამო საფიქრებელია, რომ პირველი უნდა ჰყოს დედა უკანასკნელთა. დედოფალს ქმარი რომ ჰყოლოდა, პირველად მას მოიხსენიებდა, და ამის გამო ქარიკობაში უნდა წარმოდგარიყოს წარწერა. ვინ უნდა იყენენ მოხსენებულნი პირნი? სურანშა უნდა იყოს ცოლი სუმბატ მამფალისა არტანუჯელისა, რომელიც მოკვდა 889 წ. მას დარჩა ორი შვილი—დავით და ბაგრატ, ალბათ არა სრულ წლოვანები. ამათში ბაგრატს + 906 წ. (ალბათ უფროსი), სოლო დავით-მამფალი + 943 წ. სხვა არც ერთს მეფეს ანუ მამფლებს IX—XI საუკუნეებისას არ დარჩენია სიკვდილის შემდეგ ორი ესრეთის სასელწოდების შვილი, გარდა სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა და ადარნასე მაგისტროსისა, რომელთა დაუტყვევს იმავე სასელწოდების შვილები, მაგრამ ძნელად დასაჯერებელია, რომ უკანასკნელი ჰყვანდეს სასეში ამ წარწერას, რადგან სუმბატის შვილები დაიბრუნენ ერთს წელს მამასთან (+ 988 წ.), სოლო ადარნასეს შვილებს მამა ცოცხალი ჰყავდათ, ბერად შემდგარი, როდესაც იგინი ჰმართვიდენ თვის სამფლობლოს.—ასო «ა» ხმაურებაც სასელების წინ უძველესს დროს გვიჩვენებს.

891 ქვს :რია: აქა დაწეება ბერძენთა ქორონიკონისა (წა სიკოლოზ კვ. ჭრ.—ამასი განმარტება იხ. აქვე 893 წლის ქვეშე). **[6497-5604=893]**
[893] წ. 893—532=361 წ.). ქვსა: რიგ: დასაბამითგან: ნუქს: (აქა დაწეება ბერძენთ ქორონიკონისა არს“ (აფხაზთ-მეფეთა ქრონიკა).

ბერძენების ქრონიკონი დაიწყო 361 წ., პირველს წელს იელიანეს კეისრობისა. ამ წელს კალენდარი დასწერა ანდრიაშ, მაგნუს კპისკოპოსის ძმამ. 893 წელს რომ გამოკაკლოთ სრული მოქცევა, ე. ი. 532 წ. (რადგან, ცხადია, უწინდელი მოქცევა აქვს სასეში ქრონიკას), დაგვრჩება 361 წ., ამის გამო ჩვენ ვგონებთ, რომ აქ იულიანეს კალენდრის დაწეებაზე არის ლაპარაკი (იხ. ამაზე Асогикъ, стр. 331).

906 წ. „გადაიკვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქორონიკონსა: რკთ: (909 წ.) თუესა აპრილსა :კ: დღესა ადვსებისა და დაუტყვნა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ ედვა მას, გურგენ ერისთავთ ერისთავი, აშოტ და დავით.—გარდაიკვალა დავით ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა მამფალისა ადარნასეს ძისა გურგენ კურატპალიატისა, ძმა დიდისა გურგენისი ქრესა: რკს: (908 წ.) და არა დაუტყვა შვილი“.

ეს ადგილი განგებ გადმოწერეთ ჩვენ სუმბატის ისტორიისაგან, რომელიც ჩართულია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ქართლის ცხოვრებაში (I, 199) და ცალკე იპოვება „წერა-კითხ.“ ხელ-ნაწ. № 30, დადგან ყველა წყაროებში (და რა საკვირველია, ვასუშტი-ბროსისე-ბაქრაძის თხზულებებშიაც) შეცდომით ნაჩვენებია ბაგრატის სიკვდილი 906 წლის მაგიერ 909 წელსა. რომ აქ ცხადი შეცდომაა, ამას გეომტიკებს ორი საუურადღებო გარემოება: ერთი ის, რომ 20-ს აზრდის აღკვების დღე 906—911 წლებს შუა მოდიოდა მხოლოდ 906 წელს და არა 909-ის (ჩვენი ანგარიში ეკვ მიუტანელია) და მეორეა ის, რომ სუმბატის ისტორია ქრონოლოგიურს წესს მისდევს, ხოლო აქ ირღვევა ეს წესი, რადგან ჟერ ნამბობია 909 წლის ამბავი (906 წლის მაგიერ) და მერმე 908 წლისა. უეჭველია, შეცდომა გადაწერათა შეუტანიათ. **[6512 - 5604 = 908]**

908 წ. ქკს: რკზ: დასაბამითგან: **ხუთი:** აქა კო(სტ)ან(ტ)ინე (გა)დაიცვა(ლა) (აბხაზთ მეფეთა ქრონიკა).

ვასუშტი (ქ.-ცხ. II, 180) და ბროსისე ბაგრატ მეფის მის აფხაზთა მეფის კოსტანტინეს გამეფებას გვიჩვენებენ 906 წლის შემდეგ, ხოლო მისს სიკვდილს 921 წ. ვასუშტი თვის ცნობას ამყარებს, როგორც სხანს, მასაზრებაზე და არა ნამდვილ ისტორიულს წყაროზე. ჩვენი ქრონიკა, რასაკვირველია, სარწმუნოა, მით უმეტეს, რომ იგი ეთანხმება ჭეშმარიტს ცნობებს კვირიკე და ადარნასე ვას-ტერეთის მზერობელებზე და არაბების ემირებზე (იხ. ქ.-ცხ. I, 195—197; II, 97; Hist. G. I, 279. Addit. à l'Hist. de la G. p. 248—253), შუქსა ჭეფენს და ასწორებს იმ დროინდელ არეულს ქრონოლოგიას ჩვენის ისტორიისას. რადგან მეფე კოსტანტინეს სიკვდილამდე ქ.-ცხ. მოთხრობილია გობრონის წამების და სუმბატის სიკვდილი, ბროსისესგან აღნიშნული 914 წ. ასლო ხანებში (Hist. G. I, 279, n. 4), ამის გამო. იბადება აზრი, რომ არაბთა შემოსევის და გობრონის წამების ამბავი მერე უნდა იყოს შეტანილი „ქართლის-ცხოვრებაში“ (I, 195—196) წა გობრონის ცხოვრებიდამ, როგორც შეუტანიათ სხვა-და-სხვა დროებაში ქ.-ცხოვრებაში სხვა წმინდანების ცხოვრებაც სრულად, გინა შემოკლებით.

908 წ. „წელსა :მშ: აბხაზთა მეფემან გიორგიმ მარტვილი ადაშენა“.

ეს წარწერა ვიპოვეთ თაბასიან ქალაქდზე, რომელზედაც მე-XIX საუკ. სულით აღნუსსულია რამდენიმე ქრონოლოგიური შენიშვნები, უმეტესად შესასებ დადიანებისა. მეფე გიორგის გამეფების უამი ისტორიამ არ იცის, მაგრამ ეტვი არა არის, რომ 908 წელზე ადრე არ იქნებოდა, რადგან ამ წელს მოკვდა მამა მისი. მარტვილის აშენების დრო ბროსისეს აღმოუკითხავს, თუმცა საეჭვოდ, თვთ მარტვილის ტაძარზე, რომლისაგან უკანასკნელთა განმასხლებელთა (1850 წ.) სრულიად აღმოფხვრეს, საუბედუროდ, ის მაღალ-სელგონების ჩუქურთმა, რომელსაც აქებენ ბროსისე და დიუბუა და საისტორიო წარწერანი. ამ წარწერებში ბროსისეს დაუცავს თავის Voyage-ში (Rap. VII, 12) სხვათა შორის შემდეგი: „**ჰრქი ღჳრქუნტლ - - - ღ გრქაჳრ ღიღჳრქნ ღრ ღნქნტუნ ღ - - -**“ რამდენადმე მოშორებით ზემო: „**გნ - - ტჳრ - - - ღრქნ ჴ: ჴტუნ: სჳრ:**“ უნდა ეოფილიყოს:

წარწერით: „დაიწერა წა ესე სსხარება ღაგრასა შინა წისა ნათლისმცემლისასა ოპი-
 უსას და ქორონიკონი იყო :რღგ:“ ბოლოს ჭქონია ქორონიკონები (სუთასეული)
 წარწერითა: „ესე ქორონიკონი დაიწერა სახითა იერუსალიმისათა“... ეს ცნობა
 მოგვუბეს, რადგან იგი არღვევს ბროსსემს და დ. ბაქრაძემს ჭყარსა იმის შესახებ, ვი-
 თომ სუთასეული ქართული ქორონიკონი ასურეთით იყოს მოღებული და არა იე-
 რუსალიმით. ჩვენს „ახსაზთა მეფეთ ქორონიკებში“ და წერა-კითხ. № 250 ქორონი-
 კებშიც იგი იწოდება იერუსალიმელად; სსკა ხელნაწერებშიცა ესრედ მოხსენებულა, გარ-
 და იმ „ძილისპირისა“ (ეკ. მუხ. № 85), რომელიც ბროსეს ჭქონია სსსეში მისის
 გამოკვლევის დროს და რომელშიაც იოანე შავთელი სუთასეულს ქორონიკონს უწო-
 დებს „ასურულ გზხელსად“. არც ის არის მართალი, რომ რადგან საქართველოს ეკლე-
 სია პირველად ანტიოქიის საპატრიარქოში ითვლებოდა, სწავლა-განათლებაც იქიდან
 გვექნებოდაო. ჩვენ მრავალი საბუთები გვაქვს იმისი, რომ უძველესი ნათარგმნები
 საღმთო წერილთა და წმიდათა მამათა იერუსალიმში დაუწერიათ, საბა-წმიდაში, სან-
 მეტში (?), სინას მთაში. უძველესი სსხარება იწოდებოდა ისრუსალიმელად, საბა-
 წმიდურად, სანმეტურად, ხოლო მე-XI საუკუნის ნათარგმნები „თონურად“, „მთა-
 წმიდურად“, „ახალ-წიგნებად“, „ბერძულად“. მე-974 წლის დავითნი (ეკ. მუხ. № 38)
 იტყვის: „არიან რომელნიმე ერთფერად და სწორედ ისრუსალიმელთაჲ (ე. ი. კბრა-
 ელი) და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნიცა“.

[6535-5604=931]

931 წ. **ქსა** :რნა: **ღასაბამითგან** [ნთლე] აქა ბაგრატ მეფედ დაჯდა“
 (აფხაზთ მეფეთა ქრონიკა).

ეს ქრონიკა გვიჩვენებს აფხაზთა მეფეს ბაგრატს, გიორგის ძმას (+ 966 წ.).
 გვიან გამეფება ბაგრატის შემდგომად ძამა მისის სიკვდილისა (+ 908) ახსენებს
 არეულობით აფხაზეთ-იმერეთში: „და იყო მათ შორის (გიორგის და ბაგრატის
 შორის) ბრძოლა ფიცხელი, რომელი თვთოეულად ჭპოვო ცხოვრებასა მათსა და ვი-
 დრე არა მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშვიდობა მათ შორის“ (ქ.-ცხ. I, 196;
 Hist. G. I, 641). ჩვენი მემატიანენი და მეისტორიენი მეფედ არ ახსენიებენ მას.
 მეტად შესანიშნავი განსსკავება ჩვენის ქრონიკისა და ესლამდი ცნობილ წყაროთა
 შორის დიდის ყურადღების ღირსია. ქ.-ცხოვრების (I, 196—198) და ჩვენის
 ქრონიკის თქმა ადვილად შესათანხმებელია: ძმებთ შორის ატეხილა სანგრძლივი
 ბრძოლა შემდეგ ძამის სიკვდილისა (908 წ.); ბოლოს 831 წ. გურგენ ერისთავთ-
 ერისთავის შემწეობით ბაგრატს უძლეკია გიორგისთვის და გამეფებულა, აღბათ,
 მხოლოდ ახსაზეთ-გურიაში, მაგრამ მალე მომკვდარა და ისევე გიორგის დაუპყრია
 მთელი იმერეთ-აფხაზეთი (იხ. ზემო 908 წ. ქვეშე).

ცისა და სამოციქულომისა იზრუსალიმისა საუდრისა სუნკელოზისა მიერ ბერძულად თარგმანებული“. ამ საკითხავს მისდევს სხვა: „ნიკიტა მონაზონისა და სუცისა, სტოდელთა მონასტრისა სტიოატისაჲ სიტყუა განსაქიქებელი მემობრისა მის წუალებისა სომეხთასა“, და ამ საკითხავსაც მისდევს წარწერა ტექსტის ხელით წითელ მელნით: „აღიწერა წიგნი ესე კაცისა მდაბლისა და არა რას ღირსების მქონებელისა, თუკს იანკარსა, დასაბამითგან წელთა :ხელა:“ და იქვე წარწერა შავ მელნით: „თუთ ამის (ე. ი. მისაელის) ღირსისა მამისა ანდერძი არს ესე“.

თითქმის ერთნაირად იპოება ეს წარწერა საეკლ. მუზ. ხელნაწერში (№), გელათის წა გიორგის „დოღმატიკონში“ და მარტვილის იმავე ხელნაწერში (ჩემი უბის წიგ. III, 109—110; 149; 94). ამ ხელნაწერებში მოქცეულია მრავალი საკითხავები სხვა-და-სხვათა მამათა განსაქიქებულად ნესტორის და მონოფიზიტების მწვალებლობისა და სხვათა შორის საკითხავი იოანე დამასკელისა „სარწმუნოებისათეს“.

936 წ. ამ წელს დაუწერიათ ვერუჭის სახარება შატბერდის მონასტერში, როგორც გვაუწყებს შემდეგი მისი წარწერა (Rap. XII, 84): „ღირს ვიქმენ მე გრიგოლ დაწერად წა ესე სახარება კელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისათა თავად მეფისა ჩემისა სუმბატის სალოცველად... დასაბამითგან წელნი იყვნეს: ხუმ: (6540); ქნი იყო: რნვ.:“ (156+780=936). [6540-5604=936]

947 წ. დასაბამითგან 6581 წ. (947 წ.) იერუსალუმელ მეტაფრასის წარწერა, რიღობა, პლატონ იოსელიანისაგან წაკითხული:

„გარდაიცვალა ნეტარი მამა ჩვენი გრიგოლი 102 წლისა ცხოვრებისა მისისა, ქორონიკონსა 81 (81+780=861 წ.). სოლო ცხოვრება ესე მისი დაიწერა შემდეგად გარდაცვალებისა მისისა 90 წელსა (861+90=951 წ.), დასაბამითგან 6551 წ. (6551—5604=947 წ.) იერუსალიმის პატრიარქობასა აგათონისა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისასა *), ქართუელთა ზედა მთავრობასა აშოტ კუროპალატისასა, მისა აღარნასეს ქართველთა მეფისასა (+954 წ.); აფსაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, მისა კოსტანტინე მეფისასა (+966 წ.); ერისთავობასა სუმბა-

*) ბ. ე. თაყაიშვილი, მისგან გამოცემულს „სამი ისტორიული ხრონიკა“-ში, შეცდომით, მიაწერს ამ ცნობების შეკრებას ბერს ა. ლორთქიფანიძეს, მაშინ როდესაც «წერა-კითხვის გ. საზოგადოების» წიგნთ-საცავში იპოება თვით პ. იოსელიანის ხელით გადაწერილი პირი იმ წერილისა, რომელიც ა. ქუთათელაძემ დაბეჭდა „ივერია“-ში 1889 წ. №№ 70, 72 და 73, ხოლო ბ. თაყაიშვილმა გადმობეჭდა „სამი ისტორიული ხრონიკა“-ში. პლატონ 1849 წ. იყო იერუსალიმში.—ბ. თაყაიშვილი ამ ცნობებში ჰხედავს თვალ-საჩინო „ანახრონიზმებს“; მაგრამ ჩვენ აქ „ანახრონიზმებს“ ვერა ვხედავთ: წინააღმდეგ ე. თაყაიშვილის ცნობებისა, აღარნასეს ძე აშოტ კუროპალატი გარდაიცვალა 954 წ. (და არა 786—826); დავით მამფალი სუმბატის ძე გარდაიცვალა 943 წ. (და არა 994 წ.). გარდა ამისა მეტაფრასი გადაწერილი უნდა იყოს 947

რომ წერებულა „მისის :ზ:“ (სუცური „ზ“ რამდენადმე წააგავს სუცურსაკე „ნ-ს“). მართლაც 964 წელს შათათი შესვლებოდა მისის 7, 14, 21 და 28.,

966. „ქკსა: რჰვ: დასაბამითგან: **ნტო:** აქა გ¹ (გიორგი) მეფე გარდაი-
ცვალაჲ (აზსაჲთ მეფეთ ქრონიკა). 6570 - 5604 = 966

ბროსსე და ვასუშტით გიორგი † 955 წ. შეიძლება აქაც ჩვეულებრივი ათწლო-
ვანი შეცდომა მისდევდეს ვასუშტის ქრონიკას და ნამდვილად კი ვასუშტი გვიჩვენებ-
ნობდეს 955+10=965 წელს. რადგან ჩვენი ქრონიკა ჩაწერილია სუთასეულს ცხრილ-
ში, ამის გამო ერთის წლისა შეცდომა შესაძლებელია ჩვენს ქრონიკასაც შეჰპარო-
დეს, როგორც დანახვით 1028 წ. და 1222 წლის ქვეშე. უკანასკნელს შემთხვე-
ვაში გიორგის საეკლდელი მოხვდება 965 წელს. გიორგი მეფე ის. 947 წ. ქვეშე
ამ ქრონიკისა.

973 წ. წარწერანი ძველს ჯვარზე ცაგერის ეკლესიისა: 1) „ძელო ცხოვრე-
ბისაო, წინამძღუარ და მთარველ ექმენ ილარიონ (ი¹ლ¹ნ) ეპისკოპოზსა“
2) „ქე აღიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაითარენ ქკსა: **ქ¹ქ¹ქ¹:**“ 3)
იშნისთვს ილარიონ შექმნა; ვინცა გამოაკვას შემცაჩვენებელ არს.“
4) („ჩ¹ნ) მეფეთ მეფემან ბატონმა გიორგი მეორედ გავაკეთეთ ჯუარი
ესე წარსამართებელად მეფობისა ჩ¹ნისა... ან“.

ეს ჯვარი ბროსსეს აუწერია თვსს **Rep. IX, 33.** ჩვენ გვეჩინია, რომ მეოთხე
წარწერა შექმნილი უნდა იყოს. აქ ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია პირველი ორი წარ-
წერა მე-X საუკუნისა. იშხელი ილარიონ სჩანს ერთს ძველს ტუყის უთაბოლო
ეპიტაფის წიგნში; (ეკლ. უმზ. № 35), რომელიც დაწერილია მე-X საუკ. სელით.
უფრო საყურადღებოა მეორე წარწერა მათ, რომ არც ერთის მეფის სახელი არ არის
მოხსენებული, არამედ საზოგადოდ მოიხსენიებს „ქე აღიდენ მეფენი ჩვენნი
და ერი მათი დაითარენ“. მიზეზი მეუკებისა დაუსახლებიას უნდა იყოს ის,
რომ იმ დროს (973 წ.), თანახმად ქ-ცხოვრებისა, არეულობა იყო ტახტის მე-
ძიებელთა შორის დემეტრე და თეოდოსისა: ქ-ცხ. 204 205, და არც ერთი მათგან-
ნი ეკლესიასგან მეფედ აღიარებული არ ყოფილა. ეს ღირს შესანიშნავი წარწერა ამტკი-
ცებს ქ-ცხ. და შუქსა ჭეუნს იმ დროს არეულს ქრონოლოგიას. მართლაც, არეუ-
ლობა დემეტრე და თეოდოსის შორის უნდა მომხდარიყო ლეონ III საეკლდელის
შემდეგ. ლეონ გამეფდა შემდეგ გიორგი II საეკლდელისა, ვასუშტით 955 წ., ჩვე-
ნის „აფსაჲთა ქრონიკით“ 966 წ., სოლო ვასუშტით ლეონ მოკვდა 957 წ. და
ამას შეუდგა არეულობა ქვეყნისა. ცხადია, რომ ზემოხსენებული წარწერა უფრო
უახლოვდება ჩვენს „აფსაჲთა ქრონიკას“ და ამტკიცებს მას: მართლაც თუ ლეონ
გამეფდა 966 წ. (ჩვენის ქრონიკით), და იმეფა, ვასუშტით, ორი წელი, მისა სი-
ეკლდელი უნდა მომხდარიყოს 968 წ. (და არა 957 წ.), რაიცა უახლოვდება 973
წ., როდესაც მისის საეკლდელის შემდეგ მომხდარი არეულობა იმდენად გამწკავებუ-
ლა, რომ წარმწერელი სთხოვს დემეტრეს, რათა დაითაროს ერი. ეს მოკვლენა, აფსაჲ-
თა ქრონიკისაგან „აღნუსხული იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ აქ აკლდა

ვით გურჯაანისა, მონაწილეობა მიუღია და ამის გამო მისი სახელი დაუწერიათ მისს კედელზე.

სობის მონასტრის (სამეგრელოში) პატარა ღვთისმშობლის ხატის პირზე აწერია ასომთავრულად: „ყ ლ წ ო ლუთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა სულსა ლეონ მეფისასა“. იმავე ხატის ზურგზედ წარწერა მოიხსენებს „მეფეთა მეფეს დავით რუსუდანის ძეს“. ეს იყო, მგონებ, მიზეზი, რომ ბროსსემ გამოაცხადა, რომ დავით მეფე ლეონ მეფედაც იწოდებოდაო (Rap. VII, 45 და შ.). მაგრამ ბროსსე რომ აქ შეძვდარია, ეს ცხადია იქიდან, რომ პირველი წარწერა ხატის პირზეა და ძველებურის სელით არის, ხოლო მეორე წარწერა მერმინდელის სელით არის და იშოკება ზურგზე. ამაში მე თვთ დავრწმუნდი ადგილობრივ 1890 წ.

974 წ. საეკლესიო მუზეუმში ინახება მცხეთიდან მოტანილი ეტრატის დაკითხი № 37 (in. 4, 263 ფურცელი), ასომთავრულად დაწერილი; რომელსაც წინ უძღვის ასომთავრულად დაწერილი განმარტება ფსალმუნთა დიდისა თანასე ალექსანდრიელისა (ფურც. 2—21). შეიტყუეს წიგნი: „უოვლად შეკრებით ფსალმუნთა :რნ: მუკლთა :ცმ:“ (ფურც. 22—208), ფსალმუნთ დამატებასა (ფურც. 209—238) და უკანასკნელ საკითხავს: „გამოძიებისათვის ესმთა და წელიწადთა, მცხრანლისათვის და ნაკისათვის მთვარისა, ზედნადებისათვის, ხუთეულისათვის და ექვსეულისა, შვიდეულისათვის და დღის სარბიელისათვის“. ამ საკითხავის სათაურში მოხსენიებულია: „დასაბამითგან რომელი წელიწადი გარდასრულ არიან ესრედ იცნობების: ჯუარცუმამდე უფლისა ჩუენისა ისო ქრისტესა წელიწადი :ჭფლდ: შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე მოაქამომდე :მოდ: (974).

უკანასკნელად, რომ აქ ხმარებულია ერუსალიმელი წელთ აღრიცხვა, როგორც „ქართლის მოქცევაშიც“ (5500 წ.) და არა ქართული (5604). ეს ამის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ პირველი დედანი სელნაწერისა დაწერილა პალესტინის დამოში. 34 წელი ქრისტეს დაბადებამდე ჯვარცმამდე უთვლიათ, ხოლო 5500 ქვეს მოსლვამდე.—მეტად საყურადღებოა, რომ ესრეთივე თვლა უსძარნიათ შიომღვიმეში 1270 წელს: დასაბამითგან ჯვარცმამდე :ჭფლდ: ხოლო შემდგომად ჯვარცმისა ვიდრე მოაქამომდე .ჩ:ს:ო. ერთ რიცხუად ყოველნივე წელნი დასაბამითგან ეკ მოაქამომდე :ხ:უ:დ:—...ქკსა: უე:“. (ის. ხეში დღიური IV, 78; და ესვე წიგნი 1270 წ. ქვექე). ეს უკანასკნელი ქრონოლოგიის უე: (1270) ცხადად ამტკიცებს, რომ ჯვარცმის მაგიერ უგულისხმებიათ დაბადება ქრისტესი არა შეცდომით, არამედ ჩვეულებით (ისტ. ბაქრ. გ., 206) და ამისგან შემო აღნიშნული სელნაწერი უსათუოდ 974 წ. ეკუთნის და არა (974+34)=1008 წელს.

გარდა ამისა სელნაწერის პირველ ფურცელზე იპოება ფრიად საყურადღებო, ჩვენის აზრით მათე საუკ., მხედრული წარწერა, რომელიც მეტად ძნელად იკითხება, მაგრამ ჩვენ კერე გაგვიჩვენია: „# ქ (?) მე და მშობელნი (?) ჩემნი განუსვენიან ოდეს სოლსა ჩემსა იქმენ (?) და მეოხ“ (?) და ბოლოსაც აქვს ტექსტისაკე სელით დაწერილი ხუცური წარწერა, ფრიად საყურადღებო: „განუოფა კანონთა სამად გადობასა შინა, სადა დიდება ითქუმის, ესრეთ ცან,

981 ქკსა: სა: (981 წ.) დასაბამითგან: ხფჳე: (981 წ.) აქა დემეტრე მეფე გარდაიკვალა (ახსაზთა ქრონიკა). 6585 - 5604 = 981

კახუშტის გამაზგარიშებით დემეტრე, ძე გიორგი მეფისა, გამეფდა 957 წ. და მოკვდა 979 წ. ჩვენის ქრონიკით გი გამეფება მისი უნდა მომხდარიყო ლეონ მეფის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. ჩვენის გამაზგარიშებით (იხ. ზემო 973 წლის ქვეშე, გვ. 91—92) 970—971 წლებში. მაგრამ, როგორც სჩანს, დემეტრეს ამის წინათაც უმეტესად ერთად მისის უფროს ძმასთან ლეონთან, როგორც ამაზე ჰმოწმობს თვით დემეტრე „ქართლის ცხოვრებაში“, როდესაც ეტყვის თვის ტახტის მოცილე ძმას თეოდოსეს, რომელსაც გაუგზავნა მოციქული და მოასყენა: „ვიყვინეთ ორნივე სწორად უფალ მამულისა ჩუცნისა, ვითარცა ვიყვენით უწინარეს მე და ლეონ“ (ქ.-ცხ. I. 204). იმავე სახით, ლეონიც თანა-მეფე ყოფილი მისის ძმისა გიორგისა და გიორგიც მისის ძმის კონსტანტინესი.

დემეტრესი და თეოდოსეს ბრძოლა აღწერილია „ქ.-ცხ.“ (1,203—205) და როგორც ზემო აღვნიშნეთ (გვ. 91), ეს ბრძოლა გამწვავებული უნდა ყოფილიყო 973 წ. სწორედ ეს დრო და ეს ბრძოლა ორივე ძმათაშორის უნდა იყოს აღნიშნული შემდეგს ზაროს წარწერაში, რომელიც ბროსისკს მოუჭტევია თავისს Voyage-ში (Rap. I. 175—176) და რომელიც სწორეთ კერ წაუკითხავს და კერ განუმარტნია. ჩვენ ესრე ვკითხულობთ იმ წარწერას, ბროსისკსანვე გადაღებულს: „ქრისტე აღიდე ტაძარი (?) და ძლიერი მეფეთა მეფე დემეტრე (დტე), რომელმან რა ჟამს ძმათა (ძმასა?) შეებრძოლა (შბრძა), მას ჟამსა ესე ციხე ავა შენეთ მეღ ჩემმა --- (გან)ვაწესენ ესე ნადამქას(?) მამოლი“ --- მართალია, გიორგი III-ესაც წინაღუდგა 1077 წ. დემეტრე, მაგრამ უკანასკნელი იყო ძმის წული და არა ძმა მისი და ამასთან მეფედ არსად არ არის იგი წოდებული, და თუნდაც რომ წარწერა რამე ყოფილიყოს მისის სახელისა, გიორგი მეფე, შემდგომად მისის დამხობისა, წააშლეკინებდა მისს სახსენებელს ყოველს წარწერაში, თუ ქარტებში, როგორც ამაზე გვემოწმება თვით სტეპანოზი (Hist. Siunie გვ. 1 ა 9). — რადგან წარწერაში მოხსენებულია „ძმათა შეებრძოლა“, ამით საბუთი გვეძლევა ვითეჭროთ, რომ თეოდოსე ერთად თვისს მეორე ძმით ბაგრატითურთ ებრძოდა დემეტრეს, თუმცა ქ.-ცხ. ამ ამბობებაში ბაგრატის მონაწილეობაზე არას გვეტყვის.

ჩვენის ქრონიკის ცნობა უფრო ეთანხმება „ქ.-ცხოვრების“ ცნობას, ვიდრე კახუშტისას: ქ.-ც. I, 207 მოგვითხრობს, რომ დემეტრეს სიკვდილის შემდეგ თეოდოსი სამ წელს ჰმართავდა და მეოთხე წელს გი ბაგრატ მესამე კახდა ახსაზთა მეფედ. ცნობილია, რომ ბაგრატ ახსაზეთში გამეფდა 985 წ., რადგან მართლაც ეთანხმება ზემონახეულებს ცნობას (981+3+1=985 წ.).

*კითხვა: მა: (61).

რამ იყო ევფოდი იგი, რომლითა იკითხვიდეს მღვდელთ მოძღუარნი (იგი?) საქმეთათჳს დაფარულთა და ეუწყებოდა.

მიგებაა:.

ევფოდისა სახელი გამოითარგმანების «უწყება და გამოკსნა», ხოლო სახს მისი იყო მოთხოვითი მტკავლეული ქსოვილი ოქრო მკელითა და თითო ფერითა სახითა და საშოვალ იყო ვარსკულავისა სახს ოქროსა წმიდისა; ამიერ და ამიერ იყონეს (sic) ორნი სამარაკლონი თუაღნი, რლთ ზა წერილ იყო ექუს ექუსი სახელები ათორმეტთა მათ ტომთა ისრაჲლისათა და ერთ კერძო თუაღთა მათ იყო ქვა (sic) ანდამანტი. ხოლო ოდეს იგი მღვდელსა ჰნეავენ კითხვა რამე, შეიმოსის კუართი და ძეწარი (sic) და ძეწარსა მას დააკერიან ევფოდი იგი მკერდსა ზედა მღვდელისასა და აღიპყრის ორითავე კელითა ძეწართუთ და იპოეს იგი განმარტებული კელთა შინა მისთა, ვითარცა ფიცარი, და იკითხის ღთისაგან საკითხავი იგი, რომელსა ეძიებნ და ხედავენ ევფოდსა მას; და უკეთუ სათნო არნ ღთისა საქმს იგი, რლისათჳს იკითხავნ, განბრწყინდის ანდამანტი იგი და ელვის სახენი ნაბერწყალნი ჰკრთებოდინ მისგან.

ოკკეთუ კვლა (sic) არა სათნო არნ ღთის საქმს იგი, დაადგის ანდამანტი იგი წესსა ზედა თჳსსა, რამეთუ ევფოდებინ თუ ღმთსა მიცემად ერისა მის კელთა მახვლისა, იქმნის ანდამანტი იგი სისხლისა ფერ; მოიწვევიან თუ სიკუდილი ერისა—იქმნის იგი შავ, რამეთუ ძუელსა მას შჯულსა შა შევალნ რამ მღვდელთმოძღუარი წმიდასა მას წთასა შეიმოსის თითო ფერითა მით შესამოსლითა კუართითა, რლი იგი იყო სამოსელი ფესვედი და ფერკთა შესაცუმელი“, - - - - (მეტი არ არის დედანში იხ. წიგ. ლეკიტელთა, თავი 6).

სჩანს, რომ ამ ანდამანტისა აღწერილის ცვლილებისა მისედავითა დაუწერათ ის ცრუ-წინასწარმეტყველებანი, რომელთაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად აქა-იქ შესვლებით ჩვენს ჭკუენაში. ისიც ცხადია, რომ ეკუთუდი ებრაელთაგან მიგვიღია.

991 *ქკსა: სია: დასაბამითგან: **ხტეეე** აქა რუსნი გამოვიდეს* (აფხაზთა მეფეთა ქრონიკა). **[6595 - 5604 = 991]**

ქ.-ცხოვრებაში (გვ. 216) და სუმბატის ისტორიაში და ასოლიკის ისტორიაში (Асоликъ Эмина გვ. 199 ლსხ.) რუსები მოხსენებულნი არიან გიორგი I და ბასილ კეისრის (იმპერატორის) შორის 1001—127 წლებ შუა მომხდარის ომიანობის აღწერაში. ჩვენი ქრონიკა-გი მოგვითხრობს ამაზე ადრე მომხდარ ამბავსა, რომელიც ისტორიამ არ იცის. რადგან ჩვენი ქრონიკა შეეხება თითქმის მხოლოდ აფხაზთა მეფეებს და აფხაზეთს, ამის გამო ჩვენ გვგონია, რომ იგი მოგვითხრობს რუსების შემოსვლას აფხაზეთში, ანუ საზოგადოთ, იმერეთში. რუსეთის ისტორია არას გვიამბობს ამაზე, მაგრამ ის-გი დამტკიცებულა, რომ მეათე საუკუნეში რუსები დაბინავდნენ ტამანის ახლო, აზოვის ზღვის პირად. ტამანის რუსები ხშირად შეეხებოდნენ ზღვაში, სცარცვიდენ ზღვის პირებს და მსწრაფლ უგან ბრუნდებოდნენ. ერთს ამ გვარს უფრო საყურადღებო შემთხვევას უნდა გვიჩვენებდეს ჩვენი ქრონიკა, რადგან მხელად დასაჯერებელია, რომ შემდეგ ქრისტიანობის მიღებისა წა ვლადიმირს,

მისა მეფობა რომანოზის ნათესავსა, მიმდგომსავე თვისა¹²⁵). ამისა შემდგომად წელსა მესამესა [სანატრელმან] დედოფალმან მარიამ, დედამან [ბაგრატ] მეფისამან [შეიმოსა სიმენე და ახოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკთა (არშაკუნიანთა) და წარვიდა კოსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისსა, რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთისათვის და რათა არლარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყუნენ] და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახლისა“¹²⁶).

(აქ თავდება სუმბატის ქრონიკა).

1028 (უნდა 1027 წ.). — „ქცსა: სმს: (248+780=1028) დასაბამითგან: ხქლბ: (6632—5604=1028): აქა: გ¹ი (გიორგი) მეფე გარდაიცვალა“ (აფხაზთა ქრონიკა).

გიორგი მეფე ქ.-ცხოვრებით (I, 118) და სუმბატის ქრონიკით გარდაიცვალა 1027 წ. 16 აგვისტოს. ესრეთი თანხმობა ორთავე წყაროთა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენა ქრონიკა ერთის წლით სცდება, რაცა ცხრილკან ქრონიკებში, როგორც ზემო გვითქვამს, ხშირად ჭხდება ხოლმე. მაგრამ ქ.-ცხოვრებაცა (I, 217—218) და სუმბატიც გარწმუნებენ, რომ 1025 წელს ბაგრატ იყო ექვსის წლის (სამის წლის წაიყვანეს საბერძნეთს, სამს წელს შემდეგ გამოგზავნეს უკან), ხოლო გამეფდაო ცხრას წლისა (მარიამ დედ. ქ.-ცხ.-ბითათის წლისა), აქიდან გამოდის, რომ ბაგრატ გამეფებულა 1028 წელს და რადგან გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ «მასვე ეამსა მეფე იქმნა ბაგრატ» (ქ.-ცხ. I, 219), ამით იხადება ჭაზრი, რომ გიორგიც იმავე 1028 წელს უნდა მომკვდარიყოს. ჩვენ მაინც შემართანეს უფრო კენდობით, რადგან ის უფრო ეთანხმება ჭეშმარიტს ცნობას კეისრის კოსტანტინეს სიკვდილისას 1028 წელს, 11 ნოემბერს. — რადგან ქ.-ცხ.-ით (I, 234) ბაგრატ IV მოკვდა (1072 წ.) 56-ის წლისა, ის დაბადებულა 1016 წ. და 1027 წ. გამეფებულა 11 წლისა და არა ცხრისა და ცოლის შერთვის უამს 1032—1033 წ. იქნებოდა 16—17 წლისა და არა 14—15-სა (ქ.-ცხ. I, 222).

¹²⁵) ამ თერთმეტ წინა სიტყვის მაგიერ ორსავე ქ.-ცხ.-ში ვკითხულობთ: „და ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კოსტანტინე მეფე და რაქამს მიიცვალებოდა, დასვა სხუა მეფედ, სახელით რომანოზ [მიმდგომელი თვისი] და შერთო ცოლად ასული თვისი ზოია“. ამას იქით დაბეჭდ. ქ.-ცხ. შეტანილია (თეიმურაზ ბატონიშვილისგან) სამი სტრიქონი მცხეთის გუჯრიდამ ამოღებული (ქ.-ცხ. 220. იხ 221).

¹²⁶) მთელი ეს მოთხრობა, დაწყებული სიტყვებიდამ: „ამისა შემდგომად“ აქამდის მარიამ დედ. ქ.-ცხ.-ში ფ. 251 მოკლედ არის გამოთქმული: „შემდგომად, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა აფხაზთა მეფისა საბერძნეთად, ძიებად მშვიდობისა და კუალად ძებნად პატივისა კურატპალატობისა ძისა თვისისათვის, ვიოარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა და მოყვანებისათვის ცოლისა.“ ეს ამბავი ეკუთნის 1032 წლის ახლო

შქარზე იყო 18 აგვისტოს 1124 წ., ხოლო ამ ამბავს მემატინე მოგვითხრობს 1106 წლის ქვეშე და ისე აღგვიწერს, რომ გვაფიქრებინებს, ვითომ გელათი 1106 წელს შესრულებული ყოფილიყო და შემკობილი. რის მომასწავებელია ყოველივე ეს, თუ არ იმისი, რომ: 1) დავით აღმაშენებლის მატინე დაწერილია შემდეგ გელათის შესრულებისა, ე. ი. შემდეგ 1130 წლისა და 2) მეფეს თვსავე სიცოცხლეში ყოველივე მოუმზადებია გელათის შემკობისათვის და თითქმის შეუსრულებია, მცირე რამ დაჰკლებია, რომლის შესრულება ანდერძად დაუდგია დიმიტრისთვის. გარდა ამისა მემატინე მოგვითხრობს, რომ მეფემ თვსავე სიცოცხლეში „შემოჰკრიბნა კაცნი პატროსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა (ე. ი. ბერები), არა თვსთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქუცყანისა კიდეთა, სადათცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სისრულე... დაამკვდრა მასთან მამული ლიპარიტეთი უმკვიდროდ დარჩომილი (მეფის ორგულის ლიპარიტის ძის რატის „მამული აღილო მეფემან“ 1101 წ. და ეს მამული გელათისთვის შეუწირავს)... და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“ (ბერებს). აქედამაც ცხადია, რომ თვთ მეფის დროსვე გელათი თითქმის შესრულებული ყოფილა და შიგ ბერებიც ცხოვრებულან.

1139 წ.—გელათის „დარუბანდის“ (დერბენტის) რკინის კარზე ჰკითხულობენ ასო-მითაკრულს წარწერას: „ - - მემნ დტრი - - ნანი დაარლვა და ეს კარ[რი] მუ - - - [წ]ელსა მეფ[ო]ბის - - :იგ: ხ- დასბმთგან - - მ - - “. ესე იგი: „ - - მეფემან დიმიტრი - - ნანი (რანი?) დაარლვა და ეს კარი მუ[ნით მოიტანა?] წელსა მეფობისა [მისისასა?] :იგ: ხოლო დასაბამითგან [ხლ]მ[ბ]“ [6743-5604=1139]

ამ ფრიად საყურადღებო წარწერას, ბროსსესკან გადმოღებულს (Rap. XI, 41 და introd. p. LXIII) ჩვენ ესრე ვკითხულობთ. სამწუხაროდ, ორ დღით გელათს ყოფნაში მოუცდელობისაგამო (რადგან სახეში გეჰონდა უფრო ხელ-ნაწერების გადათვალეურება) ჩვენ ამ წარწერას ყურადღება ვერ ვათხოვეთ და არქეოლოგიური ნივთები აღწერული დაგვიშთა. კირაკოსი ამოწმებს (Hist. Arm. p. 61), რომ 1139 წელს ქართველთა ეს კარი მოუტანიათ განჯიდან (ხოლო ძველი რანი არის აწინდელი ერკენი. (ის. კიდე Et. Orbel. Hist. Siounie p. 194).

ამ კარს შეცდომით უწოდებენ „დერბენტის“ კარად. მაგრამ ეს იმისი მომასწავებელი როდია, ვითომ სიცრუვე იყოს თქმულება იმაზე, რომ გელათში მართლა დაცული იყო დარუბანდის რკინის კარი, რომელიც დავით აღმაშენებელს 1124 წელს, დერბენტის შემუსრვის შემდეგ, გელათში გარდმოუტანინებია „სახსენოდ და სამადლობელოდ ღვთისა ძლევისა მისთვის“. გელათში ორი რკინის კარი ყოფილა დაცული და ორივე „დარუბანდის კარებად“ იწოდებოდა. ერთი მათგანი, უმძიმესი, როგორც იტყვიან, რკინის მასალად უქცევიათ და გელათის მონასტრის განსაახლებლად მოუხმარებიათ.

რომ თქმულება დერბენტის აღებაზე და მისის კარის მოტანაზე სრულიად უსაფუძვლო არ არის, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს: 1) ქ.-ცხ. თქმულება გვ. 251, სტრიქონი :ით: „და მცირედთა დღეთა განისვენა ამ თენს (უნდა: „ამ თვეს“, ის. ეკ. მუზ. № 131. გ. 256) და მეორესა თჳსსა ივნისსა 1123 წ.)... სიცხეთა მათ საშინელთა მოირთო შარვანი (ხოლო შარვანის სამეფოში ითვლებოდა დარუბანდიც)... და აპრილსა (1124 წ.) დაესხნეს შაბურანს („ბაბუბანს“, ეკ. მუზ. № 131, გ. 257) დარუბანდელსა და მოსწყვიდნეს ქურდნი ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხენეს ციხენი დასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა... და მერე (შემოდგომას, გვ. 252) წარემართა

სიკვდილის წინ დაკითხა, სტეფანოსის თქმით (Hist. Siounie, p. 21 მოიწვია დიდებულნი და თვთ გიორგიცა და გამოაცხადა: «დიდებულნო საქარ თველოსანო, თქვენ კარგათ იცით, რომ თქვენთვს მოღვაწემან მამა ჩემმა (დიმიტრიმ) აღადგინა სამეფო ესე და სიკვდილის ჟამს მე გადმომცა სამეფო წერილობითის ოქმითა. ეხლა მე ვკვდები. აქა მყოფს ჩემს ძმას გიორგის არაერთარი უფლება არა აქვს ტახტსა შეგვეცილოს, და როგორც სამეფო გვრგვნი მერწმუნა მე მამისაგან, ესრეთვე მეცა ვაძლევ მას ჩემს შვილს დემნას (დემეტრეს) თქვენ ყოველთა თან-დასწრებით. ხოლო შენ, ძმაო ჩემო გიორგი, სანამ ჩემი შვილი სრულ-წლოვანი გახდებოდეს, განაგებდე სახელმწიფოს, ბრძანებლობდე ლაშქრობაზე და ჰსარგებლობდე იმ მამულებით, რომელნიც გიბოდა შენ მამა-შენმან». მერე თვისი შვილი ფიცით ჩააბარა ივანე ორბელიანს და ეკლას აფიცაო, რათა მეფობა მიეცეთ დემნასთვს, რაკი სრულ-წლოვანი გადებოდა. ერთის თვის შემდეგაო, დასქენს იგივე მწერალი, გიორგიმ მოიმხრო დიდებულნი და თვთ სუმბატ-ივანე ორბელიანნი და ერთხმად მეფედ აღირჩიესო გიორგი, რომელმაც ვითომ პირობა დასდოო, რომ დემნას შესახებ ძმის ანდერძს აღვასრულებო (Hist. Siounie, p. 216—217).

რადგან სტეფანოს ორბელიანი მუდამ იმის ცდაშია, რომ ორბელიანთ გვარეულობა აღამაღლოს და გაამართლოს და არც თანამედროვე იყო იმისგან აქ აღწერილ ამბებისა, ამის გამო მისს ნათქვამს კრიტიკულის თვალთ უნდა შევხედოთ მით უმეტეს, რომ სხვა ცნობებიც აქსონისა სშირად სცრუდება.—

ამ დროებში უნდა იყოს დაწერილი ეწერის სახარების წარწერა, ბროსესკან გადმოღებული (Rap. IX, 61): „... ქე ლო (ახმარე?) სჯულისა შენისა მტკიცედ მპყრობელისა დიმიტრის ასულისა მეფისა და მეფეთ მზისა გიორგის დისა, სულთანთა ასულისა (ცოლისა?) რუსუდან დედოფლისა სამსახურებელად შენდა შემზადებულნი ნიფთნი, ვინაჲდგან ჟამმან დასცა სრულებად ჩემ გაზრდილის მათის და ლობით განმანათლებელი გიორგის ასულის (?) დედოფლის რუსუდანისაგან სრულ მსმენელმან“. — დიმიტრის ასული რუსუდან, სოქანისის სულთნის ცოლი, უშილო, ის. ქ. ცხ. I, 272. — ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ იგულისხმებოდეს რუსუდან მეფე, ანუ რუსუდან დიმიტრი III ის ქალი. გიორგი წოდებულია „მეფეთ მზედ“, ე. ი. საყვარელ შვილად მამისა, როგორც სხვა წყაროებიდანც სჩანს.

[6756 - 5604 = 1152]

1152 წ. — „ქკნს :ტობ: დასაბამითგან **ინღვ:** | აქა თა|მარისგან | აღმენებ[უელი] | ეკლესია | აკნეს და | თამარ ჩოკანი ჩაიკურა“. ე. ი. 1152 წელს „თამარისგან აღშენებული ეკლესია აკურთხეს და თამარ ჩოხანი ჩაიცუნა“, ე. ი. ძალღონად შედგა. თამარ, დავით-აღმაშენებელის ქალი, აღსართანის ცოლი ის. ზემო გვ. 239—240 და ქ. ცხ. 264, 272, 290; Hist. G. I, 360.

უპირველად აქ იგულისხმება თიღვის დიდებულ ტაძრის თამარისგან აღშენება და მუნვე თამარის მონაზონად შედგომა. თვთ თიღვის ტაძრის წარწერას, ბრო-

სსესგან ცუდად გადმოღებულს, ჩვენ ესრე გვითხულობთ: „მონებულმან რა(?) აქაჲსა სოფლისამან სახლისა მლთისა(?) დაწყება ყოფდის(?) მოქმედებითა შენზედა ჯვარცმულისა ქრისტეს ღვთისათა, რელსა (რომლისა) მერთ (მერ?) ჟამსა მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს“. ბროსსეს მხოლოდ უკანასკნელი 5 სიტყვა აღმოუკითხავს (Rap. VI, 106). წარწერას თავში უნდა აკლდეს რამდენიმე სიტყვა. თიღვის ნახკა და წარწერის შემოწმება ჩვენ ვერ გვედინსა, სანამ გადააკეთებდენ ამ ტამარს. თამარ და დიმიტრი მონაზნად უკურთხებიან კ^ლს ნიკოლოზს (ჩემი ისტორ. კრებ. გვ. 102).

ჩვენი ქრონიკა არღვევს ვახუშტის ცნობას (გვ. 188), რომელიც თიღვის აღმაშენებელის თამარის და მისის ძმის დიმიტრი მეფის სიკვდილს დასდებს 1150 წელს; 1152 წელს თამარი ცოცხალი ყოფილა.—ქ-ცხბა (I, 264) გიორგის გამეფებას, დაკითხის და თამარის მონაზონობაში სიკვდილს 1155 წელს გვიჩვენებს, მაგრამ ამ ცნობას ქ-ცხბისას არღვევს იგივე ქ-ცხბა (გვ. 268), რომელიც 1161 წელს ანისის აღებაზე მოგვითხრობს და იტყვის, რომ გამარჯვებილად დაბრუნებული მეფე გიორგი: „პირველად მივიდა გამზრდელი სისისა წინაშე თამარსა დედოფალსა დედოფალთასა (თიღვასა ჩუოფს?), რომელმან დაალტო პირველად ცრემლითა და მერმე სიხარულითა გარდარეულითა“ (მარ. დედ. ქ-ცხბით, ფ. 312; Hist. G. I, 382). ცხადია, თამარ 1161 წელსაც ცოცხალი ყოფილა.

რის მომასწავებელია ეს უკუთქმა, თუ არ იმისი, რომ დაბეჭდილ ქ-ცხბაში აღწერილი მთელი მოთხრობა დიმიტრი და დაკით მეფეთა შესახებ მერკა შეტანილი მატანიეში უცხო პირისგან (გვინებ მეფის ვახტანგისგან) სხვა წყაროდამ, როგორც ჭკემო ნათლად აღმოვაჩინთ.

1156 წ.—გამეფება გიორგისი, დიმიტრის ძისა (იხ. სამთავისის წარწერა 1168 წ. ჭკეშ).

[6760-5604=1156]

1156 წ.—ქ-კს: ტო: დასაბამითგან ხლდ: აქა ძე დიმიტრი მეფისა გიორგი მეფე იქმნა“ (ეგ. მუზ. ტყავის წიგნი № 85).

ორივე წყარო არღვევს ვახუშტის ანგარიშს, 1154 წელს გიორგის გამეფებისას და მკვიდრს ქრონოლოგიას იძლევა ქ-ცხბის შესამოწმებელს. ქ-ცხბით დაკით 1155 წელს, „ერთ წელ ჩოხოსანი“; სტეფანოზით დაკითი მოკვდა ორის წლის შემდგომად დიმიტრისა, ხოლო დიმიტრის სიკვდილს გვიჩვენებს 1158 წ. (Hist. Siounie p. 216). გიორგის გამეფების 1156 წელს დიმიტრიც და დაკითიც ცოცხალნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ზემოხსენებული ფრასა მარ. დედ. ქ-ცხბისა: „დაკითის დღეთა შემცირებითა“ (იხ. გვ. 2521) იმას უნდა მოგვითხრობდეს, რომ დაკითის სიკვდილის მოსწრაფებით გიორგის მოშორდა ეს საშიშარი და მამის ურჩი ტახტის მოცილე.

შესავსებულად ამ ცნობათა მოგვეყავს აქა შეუცვლელად სათაური მეფის თამარის მეფობის შემატანიესი, რომელიც (ქ-ცხბაში ჩართულია დიმიტრის და დაკითის მეფობათა მაგიერ გვ. 263—264) თვისს მატანიეში გაკვრით, შესავალის გვარად, მოი-

გორც ქ-ცხა, გ. 275, სტრიქ. იბ—იკ)... „უმეტეს ზომისა იმედისმდებელ ექმნა ორკერძოვე სიყვარულისა მინიჭებათსა(?) და ჟამის უქმელობითა დააგლო ქართლი და მიმართა ჩაღმართ, ვითარცა წესი იყო რა(!) გარდაცა ჟამი ამისი ჟამისა(?) და მოსწურისა მოქცევისა კუალად იშვებდა და ნადირობდა“. ამის იქით როგორც დაბეჭდილში, რომელშიაც ბეკრი ჩამატებულია (სხვათა შორის ჩამატებულია: „და მოქცევასა წელიწადთასა“) და ბეკრიც გამოკლებული. —

ხოხის მონასტერში (სამეგრელოში) ჩვენ ვნახეთ მომცრო დეთისმშობლის ხატი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, იღება და შუაში, ოქროს არშიებშორის ჩატანებულია წმიდა ნაწილები მღვდელთ-მთავართ-მოწამეთა. ოქროს არშიებზე აზოკება შემდეგი ხელოვნური ასომთავრული წარწერა: „ელვა-ნიავებრ მსწრათულ [შე]წევნად მვედრთა თქუენ მოწამენო მღვდელთმთავარნო მამანო, უმწვერვალესნო თავენო დთისმეტყუელთანო იოხეთ დაცვად მტერისა საბრკეთაგან მოსავი თქუენი ბორდოხან დედოფალი“. — ნიკოლოზ კ. ში თვსს წერილში მოისსენებს დედოფალს ბურდუხანს და იტყვის: „ხოლო საყდრისა მის (რუისისა) ზრუნვა და საურავი ხელ ეყო დედოფალსა ბურდუხანს... თვთ თავისა საყდარსა შინა (რუისს) ვაკურთხე (ტიმოთე მროკელი) დედოფლისადა ხუაშნით.“ (გვ. მუზ. № 170, გვ. 425).

[6788-5604=1184]

1184 წ.—ქს :ულ: აქა გიორგი მეფე მიიცვალა (გვ. მუზ. № 85).

1184 წ.—ქსა: ულ: დასაბამითგან **ხლპ:** | ა[მა]ს წე[ლსა] | ჩ - - ნსა [გ-] | მფე მიიცვ[ალა] | მსვე ეა მ[ისი] | ძე თამა[რ მე]ფედ დაჯ[და]“ (აფსაზთა ქრონიკა). ე. ი. „ამას წელსა ჩალიანსა (?) გიორგი მეფე მიიცვალა. მასვე ჟამსა მისი ძე თამარ მეფედ დაჯდა“. ამ ფრიად დაზიანებულის წარწერის ეკელა სიტყვები სწორედ წაკითხულია, გარდა „ჩ - - ნსა“, რომლის პირველი ასო „ჩ“ სეკეტოა: შეიძლება იგი იყოს კ, ნ, ს შუაში ორი ასოს ალაგი ამოგლეჯილია. ჩვენ ვკითხულობთ „ჩალიანსა“. —

ქ-ცხაში (გ. 276) გიორგის სიკვდილი აღნიშნულია ქკნით :ტუდ:—1174. ამისგამო ვახუშტიც ამ 1174 დასდებს (გ. 196). ორი ჩვენი ქრონიკა და სომხის მეისტორიენი ვარდან და სტეფანოს, აგრეთვე სანაგის მონასტრის წარწერა თანახმად გვიჩვენებენ 1184 წელს (Introd. p. LXVI; Addit., 246). ქ-ცხაში ქკნი :ტუდ: მერეა შეტანილი, ალბათ ვახტანგ მეფისგან, სხვა წყაროდამ, რადგან იგი არ აზოკება მარამ დედოფ. ქცხში (ფ. 341—2). ვახტანგის წყაროში ეწერებოდა :ტუიდ: და აქიდან უნდა წარმომდგარიყოს შეცდომა, როგორც სშირად ხდება ხოლმე.

ჩვენი ქრონიკა აგრეთვე გვაუწეებს ამ 1184 წელს თამარის გამეფებას, თუმცა 1179 წელს იგი მეფედ იქმნა აღიარებულ (ის. გვ. 267). —სამეგრელოში, ხოფის მონასტერში (ახალ-სენაკიდან 15 კერსზე) აქამომდე დაცულია ძვირფასი გულზე საკიდი ჯვარი თამარ-მეფისა გოჯ-ნახევარი სიგრძით ძვირფასის თვლებით შემკული. ზურგისკენ ჯვარს ჩატანებული აქვს მწვრილი ნატკერი „ძელი ტეშმარიტი“ ჯვარედინად შეკრული და ჩინებულად დაცული. ჯვარი ჩასმულია მომცრო მაცხოვრის ხა-

ქ. ესე ვითა: ზემოთ: მამათა: წდთა: დაუწერია: თქუნ: ტოხუასძეთა და კე: მეფისა სამწირველოი: და სახლი: მოუცემია: ამას: მეცა: ნკლზ წილ-
ქნელი მოწამე...

ქ. ესე ვითა: წთა: მმთა: შდმელთა: იწე (იოანე). ტოხასძისა თის თს (bis) დაუწერია და ბშება (გაუგები?) კე: კახთა მეფისა სამწირველო: მამულობით მე ლუკა მეღმე (მემღმე) მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

ქ. ესე ვითა... მეცა უნდოი: ელია: მემღუიმე: მოწამე ვარ....

ქ. ესე ვითა... ყოველთა მამათა მათთა და კურიკე კახთა მეფისა: სამწირ-
ველოი მკვდრად და მამულობით უბოძებია: მეც მწირი: ლულუნ ყოფილი: ნიკოლოზ მოწამე ვარ...

ქ. ესე ვითა... და კურიკე კახთა მეფისა სამწირველო უბოძე-
ბია იოანე ტუხუასძისათჳს... მე ნიკოლოზ მნათე მოწამე ვარ...

ფრად სელჯნურად სელჩართულად მეორე პირზედ:

ქ. „მე მთავარ მამა მემღუმესა იუანესცა დამიმტკიცებია; არგოს ღთმან
სულსა კახთა მეფისა კურიკესა ამინ“.

არშაზე:

ქ. ესე: ვითა: წდთა და ღმერთ-შემოსილთა: მამა: და ძმათა: (?) მღა-
მისა უდაბნოსათა იოანე ტოხასძესდა და ყოველთა მომავალთა და კურიკე
კახთა მეფისა სამწირველო - - [უ]ბოძებია მეცა [ცოლ]ვილი აბრაამ მიხის-
ძე (?) - - - და ვინ დამტკიცოს ღწ აკურთხოს. [6796 - 5604 = 1192]

1192 წ. — „ქკსა: უიბ: დასაბამითგან: **ხდეც:** აქა შარვანს შამახა დაი-
ქცა და თამარს ძე მიეცა გიორგი ღლამა“ (აფხაზთ ქრონიკა).

კახუშტით თამარის და დაკითის ქორწილი მოხდა 1181 წელს (ჩვენის ქრონიკით
1189 წელს) და გიორგის დაბადება 1183 წ. ხოლო ბრახსეს გამოანგარიშებით
პირველი მოხდა 1193 წ., ხოლო მეორე—1194 წ.—ქცხბა (I 298) დროს არ
გვიჩვენებს გიორგის დაბადებისას, მაგრამ იმას კი ცხადად აღნიშნავს, რომ თამა-
რის და დაკითის ქორწილიდამ გიორგის დაბადებამდე რამდენიმე წელი გასულა, რა-
დგან: 1) დაკითის დაქორწინების და გიორგი ლაშას დაბადების შუა მოთხრობი-
ლია გძელი ამბები: მიქელ ნაკათალიკოზარის სიკვდილი, (რომელიც ჩვენის გამოან-
გარიშებით მომხდარა 1190 წელს), რუსის გამოლაშქრება და მისგან ატეხილი ამ-
ბოხება მთელს საქართველოში (ჩვენის ანგარიშით იმავე 1190 წ.) და დამარცხება
მეამბოხეთა თმოგვს და ერუშეთს შუა და მეორე რაზმისა—ქართლში. ამ უკანასკნელ
რაზმის მეამბოხენი იყვნენ „კიეთნიმე ქართველნიცა და სიმრავლე ყოვლისა კაკასიი-
სა და მთიულეთისა“ (ქცხ. I, 296); შემდეგ სხვა ლაშქრობაა მოთხრობილი, მე-
რე გამრეკელის სიკვდილი (ჩვენის ანგარიშით 1191 წ.), გუზანის განდგომა, შაქ-
ერმანის და გუზანის ლაშქრის ამოწვევა (1191—1192 წ.);—2) ამ ამბების შემ-
დეგ ქცხბა განაგრძელებს: „ესე ვითარსა წყალობასა შინა ღვთისასა იშვებდა ერი
ქრისტიანეთა, გარნა წ უ ხ დ ეს და ი უ რ ვ ო დ ეს უ ნ ა ყ ო ფ ო ე ბ ი ს ა-
თ ჳ ს თ ა მ ა რ ი ს ს ა. გარნა... შემდგომად მცირედისა ჟამისა დაორსულდა

კელითა ბექასითა. ქე შეე.—დავით მეფე სოსლანი გარდაიცვალა 1207 წ. გიორგი ლაშა დაიბადა 1192 წ. მამსასადამე წარწერა ეკუთვნის 1204—1207 წ., როდესაც გიორგი მოზრდილი იქნებოდა. თვით სახარება ამასე აღრე იქნებოდა დაწერილი. წყაროსთავი ახალ ნათარგმნ წიგნებით გაამდიდრა 1060—1085 წლებში ეგნატემ (იხ. ზემო გვ. 234—235).

1205 წ.—ამ წელს გიორგი ლაშამ დაიდგა გვრგვნი მეფობისა და პირველად კარს შემოადგა თამარის ჯარი, „მაშინ ძე მისი (თამარისი) ღლაშა თორმეტის წლისა იყო“ (აფხაზთ ქრონიკიდან, რომელიც სრულად ჭკემო მოგვეყვას). რადგან გიორგი დაიბადა 1192 წ. (იხ. ზემო), მე-12 წელი უდრის 1204 წელს, მაგრამ რადგან ჩვეულებრივ მართო სრულს წლებს სთვლიან, ამისგანომ ჩვენ გვგონია, რომ გიორგი იქნებოდა 12 წლის და მეცამეტეში იდგებოდა: 13+1192=1205. ჩვენს აზრს ასახულებს მეორე ადგილი ქ-ცხბისა (გვ. 339), სადაც მოხსენიებულია, რომ გიორგიმ სიტოცხლესაკე თამარისსა დაიდგა გვრგვნი მეფობისა და «იყო მაშინ წლისა ათ-სამ-მეტისა», ე. ი. ეს ყოფილა 1205 წ. (ამასე სხვა აზრები და სრული განმარტება იხ. ჭკემო 1207 წ. ჭკემე).

რომ გიორგი დედამის სიტოცხლესაკე გაუმეფებიათ, ეს გასაკვირი არ არის, რადგან ეს ჩვეულებად ჭქონდათ ბაგრატიონ მეფეთა. ხოლო საყურადღებოა აქ ის გარემოება, რომ 12 წლის ყმაწვილი ამ ომში მონაწილეობას იღებს (ქ-ცხ. 326). რით ახსნება ეს, თუ არ იმ გარემოებით, რომ ამ წელს (1205-ს) გიორგი მართლად გაუმეფებიათ და ეს ბედნიერი დღე უნდა ესახელებინათ სახელგანთ ლაშქრობით? ქ-ცხბა თითქმის ამოწმებს ჩვენს აზრს, როდესაც მოგვითხრობს, რომ კარელებამ, შემდეგ ამ ციხის აღებისა, „მოიხვნეს კლიტენი (ციხისა) წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერე თამარისა“... „და უბრძანა (თამარ-მეფემ) ძესა თვისსა გიორგის, რათა შევიდეს და თვით მიითვალოს ქალაქი და ციხე; რომელი ესე ესრეთ იქმნა“ (I, 326). რა საჭირო იყო 13 წლის ყმაწვილის კერე წინ წაყენება მაშინ, როდესაც მას გვერდთ ახლდენ თვით მეფენი დავით და თამარ (ibid.)? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ომი გიორგის სახელობაზე იყო, ახალ-გამეფებულის ყმაწვილის ბედზე.—ამასვე ჩვენის აზრით უმეტესად ამტკიცებს ჩვენსევე ქრონიკა, რომელიც უმატებს: „მაშინ (კარზე გალაშქრების დროს) ძე მისი გიორგი თორმეტის წლისა იყო ლაშქარის პირველსა გალაშქრებასა“. აქ დიად გაუგებარია ის, თუ რისგანომ უმატებს მექრონიკე, კარის აღების მოამბე, გიორგის წლოვანებას, რომელსაც არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს კარზე გალაშქრებასთან. მაგრამ ეს გაუგებარი ფრასა ადვილად გასაგები და მოხდენილი იქნება, თუ ვიგუხსნებთ, რომ ეს ლაშქრობა ატყეილი იყო ახლად გამეფებულის ყმაწვილის გიორგის სკე-ბედზე.

[6811-5604 = 1207]
1207 წ. — „ქკს :უგზ: დასაბამითგან :ხუია: ამას წეფლსა კარი აიდ[ეს]

და თამარ დედ-ფაღი (დედოფალი) გარდაიცვალა. მაშინ ძე მისი ლაშა თორმეტისა წლისა იყო ლაშქარის პირველსა გალაშქრებასა“ (აფხაზთა ქრონიკა).

ლაკიდარული წარწერები

I

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო

(V—X სს.)

შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა
ნ. შოშიაშვილმა

თბილისი
1980

ს. ერეღვი (ცხინვალის რ-ნი): მდ. პატარა ლიახვის ხეობაში, ქ. ცხინვალისაგან 7 კმ. მანძილზე; ჩრდილო-დასავლეთით, ს. არბოდან ჩრდ.-ით, სამიოდე კმ მანძილზე. სოფელში, ხეობის გასწვრივ მიმავალი გზის მარჯვნივ, მდებარეობს ციხე-გალავანი, რომლის შიგნით შემორჩენილია ხუროთმოძღვრული ანსამბლი: 1) X ს-ში აგებული წმ. გიორგის დიდი ტაძარი—სამეკლესიანი ბაზილიკა; 2) უფრო მომცრო დარბაზული ტიპის ეკლესია (იხ. [75], რ. მეფისაშვილი, 101—103, 135—136).

წმ. გიორგის ეკლესიის ფასადებზე შემოგვრჩა რამდენიმე ასომთავრული წარწერა X ს-სა.

ძველი მონოგრაფიულად შეისწავლა და გამოსცა რ. მეფისაშვილი. მან პირველად გახსნა და მთლიანად ამოიკითხა ეკლესიის მთავარი საამშენებლო წარწერა 1943 წელს.

76

მ14 წ. ახლო. საამშენებლო წარწერა ხუროთმოძღვარ თევდორე თაფლაძეს ძისა

ერეღვის ტაძრის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილს (მოჩუქურთმებული სარტყლიდან სვეტის თავამდე) ირგვლივ, სპირალისებურად, უვლის ცხრასტრიქონიანი ამოღარული კუთხოვანი ასომთავრული წარწერა. ის იწყება სვეტის დასავლეთის მხარეს. სტრიქონების დასაწყისი აღნიშნულია წვრილი ვერტიკალური ხაზით. წარწერის სიმაღლე — 53. გარშემოწერილობა, სარტყელთან—218. ზემოთ, სვეტისთავთან—211. გრაფემების სიმაღლე—3—3,5. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთისაგან იშვიათადაა დაცილებული, ხოლო იძულებითი ინტერვალები, როგორც სიტყვის შიგნით ისე სიტყვებს შორის, გამოწვეულია ქვის ფორებით. დაქარაგმების ნიშანი (იხმარება იშვიათად) — საშუალო ზომის სწორი, განივი ხაზი. დამწერლობას მიდრეკილება აქვს არა მარტო კუთხოვნებისაკენ, არამედ — განუსხურებისაკენაც (კერძოდ ნუსხურია **რ ი, რ ლ, რ ნ და უ ც**). **შ მ**-ს რკალის შემკვრელი ხაზი არ გადადის მარჯვნივ. „უ“ იწერება მხოლოდ **ღ** გრაფემით და არა **ღჟ** კომპლექსით.

დაზიანება: 1) წარწერა დასავლეთის მხრივ ნაწილობრივ დაფარული იყო მერმინდელი კედლით. ეს დაფარული ნაწილი 1943 წ. გახსნა რ. მეფისაშვილი. ის უფრო კარგად შენახული აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენი წარწერა (გარდა რამდენიმე გრაფემის, სადაც კირის ხსნარი ძალიან მჭიდროდ იყო ჩამჯდარი); 2) წარწერის პირველი სამი სტრიქონის შუა ნაწილები გადალუულია, ხანდაზმულობის გამო, მაგრამ გრაფემების ამოცნობა ხერხდება. (ტაბ. 62; 63, 1, 2).

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში: 1) 1032 წ. ([85], დ. ბაქრაძე, 167, შენ. „ბ“); 2) 906 (თ, მ, მგ, ბ).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: 1) წარწერაში აღნიშნული თარიღი „**ხფი**“ — 6510 (=906 წ.) წარწერის თარიღი კი არ არის, არამედ — ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწერას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე. ი. 906 წლიდან დაახლოებით ათი-

ქართ. დასაქმებით
6510 - 5604 = 906 წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტი
ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

აბუსერისკე ტბელი

თხზულებანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა,
ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს:
ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ჭავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ



ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი
1998

რიცხვზე, ხოლო „მოძრავი“ სხვადასხვა წლებში სხვადასხვა თარიღზე მოდიოდა.

ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა სისტემის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას ისტორიულად რამდენიმე საუკუნე დასჭირდა, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საწყის ეტაპზე არ არსებობდა ერთიანი შეხედულება, თუ როდის უნდა ედღესასწაულათ აღდგომა და როგორ გამოეანგარიშებინათ მისი შესაბამისი თარიღი.

პასექის ანუ აღდგომის აღნიშვნის ჩვეულება ქრისტიანებმა ებრაელებისგან გადმოიღეს, რომლებიც თავის პასექს ებრაული მთვარე-მზის კალენდრით პირველი თვის ნისანის 15 რიცხვში აღნიშნავდნენ (ეს რიცხვი ჩვეულებრივ სავსემთვარეობაზე მოდიოდა). ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მცირე აზიის და პალესტინის ქრისტიანები აღდგომას ებრაელებთან ერთად 15 ნისანს დღესასწაულობდნენ და მხედველობაში არ იღებდნენ ამ თარიღის კვირის დღეს. მათგან განსხვავებით ალექსანდრიასა და რომში დღესასწაულს მხოლოდ კვირა დღეს აღნიშნავდნენ, ვინაიდან ამოსაველ დებულებად მიჩნეული იყო ცნობა მაცხოვრის კვირა დღეს აღდგომის შესახებ. მაგრამ ვინაიდან ეს ეკლესიები დიდი ხნის განმავლობაში ვერ მორიგდნენ, თუ სახელდობრ რომელი კვირა უნდა ყოფილიყო შერჩეული, სადღესასწაულო კვირა ალექსანდრიულ პრაქტიკაში 22 მარტი—25 აპრილის, ხოლო რომაულ პრაქტიკაში 20 მარტი—21 აპრილის შემცველ პერიოდებზე მოდიოდა (ამის შედეგად პასქალურ კვირების ერთმანეთისგან დაშორება საკმაოდ საგრძნობ ინტერვალში—ერთიდან ხუთ კვირამდეც კი მერყეობდა).

მთელ ქრისტიანულ სამყაროში ქრისტიანული პასექის ერთდროულად აღნიშვნის მიზნით ნიკეის მსოფლიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც ყველა ეკლესიას ავალდებულებდა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას ალექსანდრიის ეკლესიის მიერ რეკომენდირებული წესების მიხედვით. ალექსანდრიელებმა, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი სწავლულობით და კალენდრის თეორიის საფუძვლიანი ცოდნით, ჯერ კიდევ III საუკუნეში შეიმუშავეს აღნიშნული წესების ძირითადი პრინციპები. ამ წესების კრებულს, რომელსაც ხშირად დართული ჰქონდა მომავალი წლებისათვის წინასწარ გამოანგარიშებული აღდგომის დღეების ცხრილი, პასქალის სახელწოდებით საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად იყენებდა და დღესაც იყენებს საეკლესიო პრაქტიკა.

ნიკეის კრებისადმი რეკომენდებული წესების თანხმად აღდგომა მხოლოდ კვირა დღეს უნდა აღენიშნათ. კონკრეტულად, ეს უნდა ყოფილიყო პირველი კვირა იმ სავსემთვარეობის შემდეგ, რომელიც თავის მხრივ გაზაფხულის დღედაძმობის დღეს მოსდევს ან უშუალოდ ამ დღეს თანხვდება. გაზაფხულის დღედაძმობის დღედ კრებამ მიიღო 21 მარტი (იმ წლებში აღნიშნული ეს ასტრონომიული მოვლენა სწორედ ამ თარიღზე მოდიოდა). რაც შეეხება სავსემთვარეობას, რომელსაც სააღდგომო დღესთან აღნიშნული დამოკიდებულების გამო პასქალური სავსემთვარეობა ეწოდა, მთვარე-მზის კალენ-

დრით მის გამომანგარიშებას საფუძვლად უნდა დადებოდა 19-წლიანი მთვარის ციკლი. მეტონის ეს ციკლი, რომელიც უფრო ზუსტი იყო, ვიდრე მანამდე გამოყენებული 8-, 16-, 30- თუ 84- წლიანი მთვარის ციკლები, საეკლესიო პრაქტიკაში „ალექსანდრიული წრის“ ანუ „ალექსანდრიული მთვარის ციკლის“ სახელწოდებით დამკვიდრდა. მთვარის ფაზების და კერძოდ სავსემთვარეობის განმეორადობის ამ სრულ ციკლთან კვირის დღეების განმეორებადობის სრული (მზის 28-წლიანი) ციკლის შესაბამისობაში მოყვანით, შემდგომში გამოიმუშავეს 532-წლიანი ციკლი, რომელიც სავსემთვარეობის თარიღისა და მისი კვირის დღის განმეორადობის სრულ ციკლს წარმოადგენდა. ეს ციკლი დაედო საფუძვლად 532-წლიან პასქალურ ცხრილს, რომელშიც აღნიშნული დროის ინტერვალისთვის მოყვანილი იყო აღდგომისა და სხვა პასქალური მახასიათებლების წინასწარ გამოთვლილი მონაცემები. VI საუკ. მიწურულისათვის პასქალიებში ამ ცხრილმა საბოლოოდ დაიმკვიდრა თავისი ადგილი, როგორც პასქალურ-კალენდარული სისტემის ძირითადმა შემადგენელმა კომპონენტმა. ყოველი ასეთი ცხრილი ისევე როგორ მისი მომცველი პასქალურ-კალენდარული სისტემა, შესაბამისობაში იყო მოყვანილი გარკვეულ წელთაღრიცხვასთან. ადრეულ ეტაპზე იყენებდნენ დიოკლეთიანეს ერას (ეპოქით 284 წლის 29 აგვისტო), შემდგომში კი „ახალ ერას“. ძალზე გავრცელებული იყო ბიბლიურ მონაცემებზე დამყარებული წელთაღრიცხვები, რომლებიც წლების ათვლას „დასაბამითგან“ ანუ „ქვეყნის გაჩენიდან“ ითვალისწინებდნენ. ასეთი წელთაღრიცხვის ერთ-ერთი პირველი სახეობა შეიმუშავა იულიუს აფრიკელმა (226 წ.), რომელიც „დასაბამითგან“ ქრისტეს დაბადებამდე 5500 წელს ითვლიდა. მოგვიანებით შემოიღეს პანოდორე ალექსანდრიელის (ძვ.წ. 5493 წ. 29 აგვისტო), ანიანე ალექსანდრიელის (ძვ. წ. 5492წ. 25 მარტი), ბიზანტიური (ძვ. წ. 5508 წ. 1 მარტი ან 5509 წ. 1 სექტემბერი) წელთაღრიცხვები. ადრეულ პერიოდში საყოველთაოდ აღიარებული იყო ანიანეს ანუ ალექსანდრიული ერა, რომელიც დაახლოებით X საუკუნიდან ბიზანტიურმა ერამ შეცვალა.

საქართველოში კალენდრის გამოყენების პრაქტიკა საკმაოდ ადრეულ ისტორიულ პერიოდთან არის დაკავშირებული. პირველი კალენდარი, რომლითაც უძველეს დროში სარგებლობდნენ ქართველები, მთვარის კალენდარს წარმოადგენდა. ძვ. წ. V საუკუნიდან (სხვა მოსაზრებით ძვ. წ. I საუკუნიდან) მთვარის კალენდარი მზის კალენდარმა შეცვალა, რომლის მიხედვითაც მოძრავი კალენდარული წელიწადი 365 დღე-ღამისაგან შედგებოდა. ამ 365 დღე-ღამისაგან 360 დღე-ღამე გადანაწილებული იყო 30-30 დღე-ღამიან თორმეტ თვეზე, ხოლო დარჩენილი 5 დღე, როგორც დამატებითი დღეები (ეპაგომენები) მეთორმეტე თვის ბოლოს მოდიოდა. კ. კეკელიძის ცნობით ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში შემოიღეს ნაკიანი წლების სისტემა, რომლის შესაბამისადაც უძრავად გადაქმნილ წელიწადს მეთორმეტე თვის ბოლოს ჩვეულებრივ წლებში 5, ხოლო ნაკიანში კი უკვე 6 დღე ემატებოდა ახალი წელი იულიუსის კალენდრის მიხედვით 6 აგვისტოს იწყებოდა.¹ 12 თვე, რომელთაც ძველი ქართული სახელები შემორჩათ, ერთმანეთს მოსდევდნენ შემდეგი თანმიმდევ-

¹ კ.კეკელიძე, ეტიუდები, I, თბ., 1956 გვ. 116-117.

რობით: ახალწლისა, სთვლისა, ტირისკნისი, ტირისდენი, აპნისი, სურწყუნისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობისა, მარიალისა, თიბისა და ქველთობისა.

კ. კეკელიძის მონაცემებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ აგვიტოს წელიწადთან ერთად თანდათან ფეხი მოიკიდა სექტემბრის წელიწადმაც. VII საუკუნიდან ამ უკანასკნელმა საბოლოოდ შეცვალა აგვისტოს წელიწადი, რასაც დაემთხვა თვეების რომაული, ე.ი. თანამედროვე სახელების შემოღების პროცესიც. როგორც სამოქალაქო წელიწადი, სექტემბრის სტილის წელიწადი X საუკუნის ნახევრამდე გამოიყენებოდა, ხოლო შემდგომ მან საეკლესიო წელიწადის ადგილი დაიკავა. IX-X სს. მიჯნაზე ე.წ. ქორონიკონული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით შემოღებული იქნა მარტის წელიწადი, რომელიც 1 მარტიდან იწყებოდა. ეს სამოქალაქო წელიწადი X ს. მეორე ნახევრამდე იხმარებოდა, შემდეგ კი ადგილი დაუთმო იანვრის წელიწადს და თვითონ ქორონიკონული წელიწადის საფუძველად დარჩა. იანვრის წელიწადს, მიუხედავად იმისა რომ ის საკმაოდ ადრე ჯერ კიდევ X ს. მეორე ნახევრიდან შემოვიდა, დიდხანს უხდებოდა ბრძოლა ცხოვრებაში განმტკიცებისათვის. საბოლოო ბატონობა მან მხოლოდ XIV საუკუნიდან მოიპოვა.¹

ქრისტიანობის შემოსვლისას სამოქალაქო წელიწადთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო საეკლესიო წელიწადმაც. პირველ ეტაპზე გამოიყენებოდა უძველესი აღმოსავლური ტიპის ეორტალოგიური წელიწადი, რომელიც X ს. მეორე ნახევრიდან გაბატონებული ბიზანტიური პრაქტიკის მეშვეობით სექტემბრის წელიწადით შეიცვალა. ქართული ეკლესია თავიდანვე იულიუსისეულ კალენდარს იყენებდა და დღესაც სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მსგავსად ამ კალენდარს იყენებს.

სხვადასხვა დროს წლების აღსარიცხავად საქართველოში გამოიყენებოდა სხვადასხვა სისტემა (ირანის შაჰების, ბიზანტიის კეისრების და საქართველოს მეფეთა მეფობის წლები). რელიგიური წელთაღრიცხვის სისტემებიდან გავრცელებული იყო 3 ერა: ქვეყნის შექმნიდან, „ქრისტესით“ და „ქორონიკონით“.

ქვეყნის შექმნის (ანუ „ქვეყნის დასაბამის“) ერებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ალექსანდრიული 5492-წლიანი ერა, ქართული 5604-წლიანი ერა და ბიზანტიური 5508-წლიანი ერა. ალექსანდრიული ერა უძველესი დროიდან X ს. ნახევრამდე იხმარებოდა. ქართული ერა, რომელიც კ. კეკელიძის მოსაზრებით IV ს. მეორე ნახევარში უნდა იყოს შემოღებული,¹ დღესაც გამოიყენება საეკლესიო პრაქტიკაში. ბიზანტიური ერა პირველად X-XI ს. მიჯნაზე შემოიღეს ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლებმა და მათი მეშვეობით ეს ერა საქართველოშიც გავრცელდა ქართული ერის პარალელურად.

ერა „ქრისტესით“, რომელიც დიონისე მცირემ შემოიღო, საქართველოში

¹ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 119-124

აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ ადრე დამკვიდრდა (პირველად ის გვხვდება იოანე საბანისძის თხზულებაში, რომელიც VIII ს. მიწურულით თარიღდება). ეს ერა სამი ვარიაციით იყო ცნობილი: ერთ შემთხვევაში ამოსავალ დებულებად ქრისტეს დაბადება იყო მიღებული, მეორე შემთხვევაში—ქრისტეს „ვნება, ჯვარცმა და აღდგომა“, ხოლო მესამე შემთხვევაში—ქრისტეს ამაღლება¹.

ქორონიკონული ერა, რომელიც 532-წლიან ციკლზე იყო დაფუძნებული VIII-IX სს. მიჯნაზე შემოვიდა. 5604-წლიანი ერთ ახ. წ. 780 წელს მთავრდება 532 წლიანი პერიოდის მე-12 ციკლი ანუ მოქცევა. ასე რომ, შემდგომ მე-13 და მე-14 მოქცევას შესაბამისად 780-1312 და 1312-1844 წლებში ჰქონდა ადგილი და სწორედ ამ ორი მოქცევით შემოიფარგლება ლოკუმენტურ წყაროებში არსებული თარიღები.

* * *

აღდგომისა და „მოძრავი“ დღესასწაულების თარიღების გამოთვლასთან დაკავშირებით ქრისტიანულმა ეკლესიამ ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შემოიღო დათარიღების ახალი ტიპის დამხმარე ელემენტები, რომლებიც თავისი შინაარსით პასქალურ-კალენდარულ მახასიათებლებს განეკუთვნებიან (ე.წ. მზის და მთვარის წრეები, შვიდეული, ზედნადები, ხუთეული-ექვსეული და ა.შ.). შემუშავდა, აგრეთვე, სათანადო მათემატიკური აპარატიც, რომელიც ამ მახასიათებლების მიმართ მსგავსი გამოთვლითი ოპერაციების ჩატარებას ითვალისწინებდა.

გამოთვლითი ოპერაციების მსგავსება განაპირობა თვით მახასიათებლების ციკლურობამ, ანუ დროის გარკვეულ შუალედში განმეორადობამ. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გარკვეულ ერიდან ათვლილმა 21 და 19-წლიანმა ციკლებმა, რომელთათვის მათი შემცველი წლების რიგითი ნომრების მიხედვით წინასწარ დადგინდა შესაბამისი მახასიათებლების რიცხვითი მნიშვნელობები. ამიტომაც ნებისმიერი ამავე ერთ ათვლილი წლისათვის შესაბამისი რომელიმე მახასიათებლის გამოანგარიშების ამოცანა, ამ წლითანმხვედნი ციკლის რიგითი ნომრის გამოთვლაზე დაიყვანებოდა.

ნებისმიერი წელიწადი (A), რომლის მახასიათებლების გამოთვლაც არის საჭირო, შეიძლება წარმოვადგინოთ ციკლის ხანგრძლივობის (m) ჯერადრიცხვისა და არასრული ციკლის რიგითი ნომრის (r) ჯამის სახით:

$$A = km + r \quad (1)$$

სადაც k ჯერადობის მაჩვენებელი გარკვეული დადებითი რიცხვია, ხოლო $r < m$.

ვინაიდან პასქალისტი გამოთვლელების საძიებელ სიდიდეს არასრული ციკლის რიგითი ნომერი შეადგენდა, გამოთვლის ოპერაცია მიზნად ისახავდა:

¹კ. აკეელიძე, ეტიუდები, II, თბ. 1945 წ. გვ. 330-331 2. იქვე, გვ. 326-327

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასალცინის ფილიალი
ასალცინის ღამოუკიდებელი უნივერსიტეტი

ვალერი სილოგავა

კუმურდო

ტადრის მკიბრაფიკა

„მეცნიერება“
თბილისი
1994

„კორპუსის“ გამოცემაში ნ. შოშიაშვილმა წარმოადგინა წარწერის ტექსტის ამ ადგილის ახალი წაკითხვა „ახალ მთუარისას“, თუმიცა „ახალ“ კითხვის ნიშნით აღნიშნა. ასეთი წაკითხვის შემთხვევაში გამოდის, რომ ეკლესიის საძირკველი დაუდგიათ რქდ ქრონიკონს (ანუ 964 წელს), პირველ მაისს, შაბათ დღეს, ახალ მთვარეობას.

კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერაში ამ ადგილას, როგორც ჩანს, მაინც „ა მთუარისას“ უნდა წავიკითხოთ და მთლიანად ტაძრის საძირკველის ჩადების თარიღი ასე წარმოვიდგინოთ: „ქრონიკონსა რქდ“ თოუესა მაისსა ა, დღესა შაფათსა, ა მთუარისასა“.

საქმე ის არის, რომ სიტყვა „მთუარისასა“-ს წინ ამოკვეთილ ა-ს უზის ქარაგმის ნიშანი, რაც ცალკე დასძულ ასოებში მათი რიცხვითი მნიშვნელობის მანკენებელია. ამასთანავე, სიტყვა „ახალ“-ის მხოლოასოიანი დაქარაგმება წერილობით ძეგლებში არ დასტურდება. ასეთი დაქარაგმებით მხოლოდ ორი ფორმაუცვლელი სიტყვა გვხვდება: „რამეთუ“ (რ) და „ხოლო“ (ხ).⁷ „ახალ“ ან „ახალი“, თუ სრული სახით არ წერია. დაქარაგმებულია, როგორც „ახლი“⁸. ამდენად, წარწერის ტექსტში ამ ადგილას ამოკვეთილი ა (ისევე, როგორც იგივე ასო „თუესა მაისსა“-ს შემდეგ) შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „ერთს“ ან „პირველს“.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თარიღის გადმოცემისას მთვარის მოქცევის ფაზების აღნიშვნა გავრცელებული იყო საქართველოში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. გარდა კუმურდოსა და მანგლისის ტაძრების ეპიგრაფიკული ძეგლებისა; ამის შემთხვევებს ვხვდებით სხვა სახის წერილობით ძეგლებშიც. ასე მაგალითად, მოქვის სახარების (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-902) 1300 წლის ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია:

„დაიწერა წმიდად ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხშღ - ქართულითა სათუალავითა, და ბერძულად ხეშ; ქრონიკონსა ფგ; ხელნადებსა მოთვარისასა გ; მცხრალსა ზ; ინდიკტიონსა ივ; ხუთეულსა ლ; ექუსეულსა ღვ; მზის მოქცევსა დ; მოთვარის მოქცევსა ვ“⁹

[6904-5604=1300წ.]

ხელისუფალთა მიერ ჩატარებული რემონტის შედეგად (ტაძრის სიხლოვეს განლაგებული იყო გრენადერთა პოლიკის ყაზარმები) ტაძრის ეპიგრაფიკა, მისი მრავალრიცხოვანი წარწერები, შეიძლება ითქვას, ოთქმის მთლიანად განადგურდა. და არა მარტო ამ ტაძრის, არამედ, როგორც ჩანს, მანგლისის მიდამოებში მდებარე სხვა მცირე ეკლესიებისაც. სამწუხაროდ, რუს საშხედრო ხელისუფალთა მისწრაფებამ, აღედგინათ ეკლესია და მოქმედი გაეხადათ იგი, დაოუური სამსახური გაუწია მეცნიერებას და ქართულ სიძველეებს.

მანგლისის ტაძრის წარწერების შესახებ არსებული მასალების მოპოვებაში დიდი მუშაობა გასწია მ. დვალმა, რომელმაც რუსეთის სიძველეოსაცაეებში გამოაღვინა ძველი, XIX-ის საარქივო მასალები სადღეისოდ დაღუპული, ან უფრო დაზიანებულად მოღწეული ამ წარწერების შესახებ.

ყოველივე ამის აქ აღნიშვნა იმიტომ გვისდება, რომ რაღაც ბოლომდე გაუცნობიერებელი, მაგრამ აშკარა საერთო არსებობს კუმურდოსა და მანგლისის ეპიგრაფიკას, ამ ორ ეპარქიას შორის (ორივეგან სააღაპე წარწერების დიდი რაოდენობა, თარიღში მთვარის ფაზის აღნიშვნა, მანგლელის ალაპის კუმურდოში დაწესება...).

⁷ ილ. აბულაძე. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი. თბ., 1973, გვ. 403. 416. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, გარდა ამ ორი ფორმაუცვლელი სიტყვისა, მხოლოასოიანი დაქარაგმებით შეი. ...ა შეგვხვდეს: ქ- („ქართლისა“), კ- („კათალიკოსი“), ჭ- („ჭყონდიდელი“), ე- („ერისთავი“). ...არამ, როგორც წესი, მათ უთუოდ მოსდევს ბრუნვის ნიშანი, ან მასთან შერწყმული მომდგენელი სიტყვა, რომელიც ბრუნვის ნიშნითვე წარმოდგენილი [ქ-კი- „ქართლისა“ ქათალიკოსი“], ე-ეი [„ერისთავთა“ ერისთავი“] და სხვ. მხოლოასოიანი დაქარაგმების შესახებ იხ: ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 143.

⁸ ილ. აბულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 388. ⁹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექციისა. ტ. II. თბ., 1958, გვ. 314.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GEORGIE

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

გ მ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ
им. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE
ET DE CULTURE MATÉRIELLE

XIV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

Tbilisi

თბილისი—1944

Tbilisi

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი

Б** ქცის ხელთნაწერის შუა ნაწილის უძვირფასეს სამკაულს თამარის მეფობის აღწერილობა შეადგენს. აქამომდე M ქცის წყალობით ჩვენ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვეკონდა, რომლის უხვს შინაარსიანობას მისი რიტორულ-ფილოსოფიური მიმართულების გამომჟღავნებელი რთული ხელოვნური ენა ვერ ჩრდილავდა. შევსებულ ქცაში თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებას ორად (გიორგი III-ისა და თამარის მეფობად) გაყოფის გარდა შესავალიც ჩამოცლილი აღმოაჩნდა და ახალი ცნობებით შევსებულობაც ეტყობოდა. ამ ფრიად საყურადღებო დანართი ცნობების სადაურობა გამოურკვეველი იყო და ზოგს მერმინდელ შეთხზულად ეჩვენებოდა კიდევ.

ქართული საისტორიო წყაროების შესწავლამ კარგა ხანია დამარწმუნა და ეს შემდეგ 1916 წ. დაბეჭდილს ჩემს შრომაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ I წიგნში აღნიშნულაც მაქვს, რომ «თამარ მეფის ხანას უეჭველია საქართველოში ბევრი აღმწერელი და ისტორიკოსი ეყოლებოდა, მაგრამ ერთის გარდა სხვების ნაშრომი ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ამ ერთის თხზულებაც შენახულია „მმ დფლს ქცა“-ში, მაგრამ მეტისმეტად დამახინჯებულია მერმინდელ გადამწერთაგან»¹. B ქცის ტექსტმა იქ, სადაც თამარის მეფობაა აღწერილი, გაამართლა ჩემი სიტყვები და მართლაც თამარის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება აღმოჩნდა. თუ მთლად არა, მისი პირველი ნახევარი თურქ დაკარგული არ იქნა და ტფილისში B ქცის ხელთნაწერში ინახებოდა.

საკმარისია ადამიანმა იქ მოთავსებული თამარის მეფობის აღწერილობა გადაიკითხოს, რომ მისმა მკვირცხლად დაწერილმა, დალაგებულმა და მთლიანი აზრითა და გრძნობით გამსჭვალულმა შინაარსმა უნებლიეთ გაიტაცოს და მოხიბლოს თავისი ცხოველი დასურათხატებითა და მრავალი ახალი ცნობებით. ყოველ წინადადებაში თანამედროვის დაკვირვებული თვალი და გონება მოჩანს და აღფრთოვანებული ძლიერი გრძნობა ჩქეფს.

ამ პირველი საერთო შთაბეჭდილების გარდა ქვემოთ თავის ადგილას თამარ მეფის ამ ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის პიროვნებისა და მისი მსოფლმხედველობის შესახებ საგანგებოდ გვექმნება საუბარი, ეხლა-კი გამოსარკვევი გვაქვს, თუ სად უნდა ვიგულისხმოთ ამ ძეგლის დასაწყისი?

* ამოღებულია ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებიდან „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“, (თბ. უნივ. მოამბე, ტ. III, გვ. გვ. 186—216). რედ.

